


საქართველოს



იმიტანა წმინდა საცემში,
ბეჭდვით ბეჭდვით სიფყვას,
ცყილებით და ჭებრით ბუბთის
გაცანა ყუელა უკადრისადაც
უსაბაგლესია.

დაარსებულია
1918 წელს.

პარასკევი, 9 მაისი, 2014 წელი.

№91 (7472)

რუსულში

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

გილოცავთ 9 მაისს!



აჲ, ტუტუს,
მორა მსოფლიო
ქი არა,
დიდი
სამაგულო
ოში!!!

თავს ისულალებთ თუ
ჩვენ გვასულალებთ,
უფალო ელჩო? ②

ბრძოლა
ოშის ⑨
უეგება



რუსეთმა ⑧
გაიღვიძა

ორღენების ③
ქალაუფლება

მეფურპალისტოვისას მიმიტანია წყალი,
მეფურისტოვისას მიმიტანია ჰური...



ჯანსუღ ჩარკვიანი ⑥-⑦

უწმინდესი თუ გვიშველის

მივალთ გზებით სისსლიანით,
ქმას მტრობს ძმა და ძმობილი,
ჩვენს წინაშე ზის მღიმიარი
მტერი ჩვენზე შობილი
დაიკარგა სამართალი
წინაპართა სამკვიდრო.
ეს ქვეყანა გადამთვრალი,
სანამ გინდათ ადიდოთ?
შეძახილი სულ ცით გვესმის,
ასი მთის და ასი ტყის,

მთავარია, უწმინდესი,
უწმინდესი რას იტყვის.
ის ჩვენს სულში ზის ქართველად,
ვითარ — მამა-პაპანი,
ლოცვა მისი სიმართლეა,
სიტყვა მისი — ლამპარი!
თვალი სტირის, გული კვენის,
ქართველს, თურმე არ ესმის,
გვესმას ჩვენი უწმინდესის,
ჩვენი უწმინდესის!

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სვავბან ვერ ნახავ!..

© პრიმა!

თავს ისულელაბთ თუ ჩვენ გვასულელაბთ, უფალო ელჩო?

რაო, იმ კონსერვატივად რიჩარდ ნორლანდს ქართველები მთლად კანიკალები თუ არა. ველურები მაინც ვაპონეთ?!

მეორეხარისხიანი, ძალიან გამიჭირდა ამ სტრიქონების დაწერა საქართველოში იმ ქვეყნის სრულყოფილებიან წარმომადგენელზე, რომელ ქვეყანასა და წარმომადგენელსაც პატივს ვცემ, მაგრამ არანაკლებ ძალიან რომ გამამწარა „მედიანისის“ გავერცელებულმა აშშ-ის ელჩის ნათქვამმა? აი, მისეული ეს „მარგალიტი“:

„მე კონცერტს ვესწრები, სადაც სცენაზე ჯასტინ კოვლინი დგას, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობისაა. ქართველი ხალხიც ესწრება ამ კონცერტს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი ანტიდისკრიმინაციის მომხრეები არიან“.

რა არის ეს? უფალო ელჩს ერთობ გონებაჩაღუნები მიაბიტიბი გგონივართ და ამ „შეკებით“ ისევე ცდილობს ჩვენი გული მოაღიროებას, როგორც „კაკაი“ ვაპირებთ სოლემ პატარების მოთაფვლას, თუ უბრალოდ, გვასულელებს?

სხვაგვარად როგორ გავიგოთ? რაო, მან საქართველოში ლამის ხუთ წელს იმდენად მთავრად ვერ გაიცნო ჩვენი ქვეყანა, მისი ხალხი, ისტორია თუ კულტურა, რომ ის გაუგებრდა, ქართველებმა მაყურებელმა ინვალიდი შემსრულებელი სცენაზე არ ჩაქოლაო?

ამაზე მითი შეუსრულებია იმდენა? თუ ასე „ღრმად“ გვიცნობს, წარმოიდგენია, რაოდენ „ობიექტურ“ ინფორმაციასაც აწვდის იგი თავის ხელმძღვანელებს ჩვენს ქვეყანაზე.

იმ ქვეყანაზე, სხვათა შორის, რომლის ერთ-ერთ სამხარეო ცენტრში, თელავში, იმაზე სამჯერ მეტი „ასაკის“ ჭადარი დგას, ვიდრე აშშ-ის მთლიანი ისტორიაა!

იმ ხალხზე, ასევე სხვათა შორის, რომელ ხალხსაც თავისი ერთი რომელიმე კარგი პოეტის ნაკალმარი კი არა, „გეგნისა და მოყმის“ ხალხური ბაღადა აქვს — კაცთმოყვარეობისა და შემხმ-წარმალუბრის უნაღდისი ნიშნით, ჭეშმარიტად მსოფლიო მნიშვნელობისა ანუ უფალო ელჩს, წესით, არ უნდა გაჰკვირვებოდა იმ კონცერტზე ქართველი ხალხის „გამოგნებელი“ კაცთმოყვარეობა და „ანტიდისკრიმინაციული“ ხასიათი! დარწმუნებული ვარ, არც გაჰკვირვებია.

ამგვარი დამოკიდებულებით „იმ ქვეყნისადმი“ გაფრთხილებული ქართველთა დამოკიდებულება და, მით, უფრო, იმის „სრულყოფილებიან“ წარმომადგენელზეც.
შტეფან ფულეებსა და მისწირებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს.
არც მთლიანად იმას დაკრულზე მოცეკვავე „ქართველებზეც“, სხვათა შორის!
რუსლან რუსინა



© ინფორმაცია

აკი დამოუკიდებელ ქვეყნად არ ვსწოვართ?!

ბაზრის ე.წ. ადმინისტრაციამ იტალიელი ბიზნესმენთან „მეგობრობისა და ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ“, ოქმი გააფორმა. ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ხელშეკრულებას ხელი შპს „ფაროსის“, გენერალურმა დირექტორმა როკო მელონიმ (სარდინია, იტალია) და გაგრის რაიონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გრიგორი ენიკმა მოაწერეს. შესაძლო ეკონომიკური თანამშრომლობა „ფაროსთან“ სარესტორნო და საკურორტო ბიზნესის განვითარებას, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების პროექტებს, იტალიური პროდუქციის აფხაზეთში იმპორტსა და ასევე, აფხაზეთის პროდუქციის იტალიაში ექსპორტს ითვალისწინებს.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც იტალიელი ბიზნესმენები აფხაზეთში ჩადიან. ასევე, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს შესვლად მართლაც იტალიის რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ასიზიში, ბელუნოსა და ვენეციაში.

დავით კახარაშვილი ახალ ბრალდებას ახსურდულს უწოდებს

ბმის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კვებრაშვილის ადვოკატმა შოთა მინდელიმ განუცხადა.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, ბრალდების მხარე ამტკიცებს, რომ წვრთნები არ ჩატარებულა, თუმცა, აღნიშნული წვრთნების ჩატარების შესახებ თავად ბრალდებულს ვერაია.

— დავით კახარაშვილთან ერთად ბრალდებულ ალექსანდრე ნინუას არ ვიცავ, მაგრამ მივიჩნევ, რომ ეს საქმე „შეიკვრა“, და გამოქვეყნდა მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ ალექსანდრე ნინუა სხვა სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში რომლის მიხედვითაც პატიმარია, შესაძლოა, გათავისუფლებულიყო, ბრალდების მხარე კი ცდილობს მას პატიმრობა გაუხანგრძლივოს, — განაცხადა შოთა მინდელიმ.

ადვოკატი აცხადებს, რომ ბრალი, რომელიც კახარაშვილსა და ნინუას ოთხშაბათს წაუყენეს, „შეთითხინი და არაფრისგან მოტანილია“. ამასთან, ადვოკატისთვის უცნობია, ახალ ბრალდებულთან დაკავშირებით შეუფარდებენ თუ არა დავით კახარაშვილს აღმკვეთ ღონისძიებას.

ადვოკატი გამოხმაურა პროკურორის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, კახარაშვილის ექსტრადირების საკითხის დაყენება ქართულ მხარეს ბრალდებულის საფრანგეთიდან სხვა ქვეყანაში გადასვლის შემთხვევაში კვლავ შეეძლება. როგორც შოთა მინდელიმ განაცხადა, ამჟამად კვებრაშვილი იცავს იმ ხელშეკრულებებს, რომლის საფუძველზეც საფრანგეთში ცხოვრების უფლება აქვს.

© ინფორმაცია

ავღანეთიდან ქართველი მებრძოლები საფრთხილო ბრუნდებიან



თბილისის სამინისტროს ინფორმაციით, მესამე ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონის 150 სამხედრო მისამსახურეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, პოლკოვნიკი გიორგი კბილცეცხლაშვილი, შეიარაღებული ძალების მთავარი სერჟანტი ალუდა კობალიანი და სახმელეთო ძალების დასავლეთ ოპერატიული დაჯგუფების სარდალი, პოლკოვნიკი ბესიკ გოფოძე ალექსევევის აერობორტში დასვდნენ.

სამხედროებს საქართველოში დაბრუნება და ISAF-ის მისიის წარმატებით განხორციელება მიულოცეს ასევე მესამე ქვეითი ბრიგადის მე-

თაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა მალხაზ მერლანმა და გენერალური შტაბის სხვა ხელმძღვანელმა პირებმა.

31-ე ბატალიონის სამხედროებმა ISAF-ის მისია აშშ-ის საზღვაო ქვეითების დაქვემდებარებაში ჰელმანდის პროვინციაში შეასრულეს. ბატალიონის მთავარი ამოცანა ოპერაციის რაიონში ამბოხებულთა ძალების გაუვნებლყოფა, ადგილობრივი მთავრობისა და ეროვნული უსაფრთხოების ძალების განვითარების მხარდაჭერა და უსაფრთხოების ზონების კონტროლი იყო.

ინტერპრესი

© პროკლევა

ისევ დააპირისპირებს ევროკავშირი სახელმწიფოსა და ეკლესიას?!

კბრბად ვნახეთ, როგორი ვნება-თაღელვა გამოიწვია „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის მიღებამ, მაგრამ ამით არაფერი დამთავრებულა. წინ გველოდება რამდენიმე საინტერესო რაუნდი, თუნდაც ისეთი, როგორიც ბიომეტრიული პასპორტის იძულებითი წესით მიღებაა. მართალია, ამ საკითხზე იუსტიციის მინისტრმა თუ წულუკიანიმა თავიდან ერთობ ლიბერალური პოზიცია დაიკავა და ანგარიში გაუწია საპატრიარქოს ნებატიურ მიდგომას ახალ პასპორტებთან დაკავშირებით. თუმცა, ყოველი დღე ამ მიმართულებით წინ გადადგმული ნაბიჯია. ვისაც უწევს ახალი პირადობის მოწმობის აღება, ის თავისთავად ბიომეტრიულ ცნობას იღებს. „არ ავიღებ და არ მინდა“, ამ შემთხვევაში არ ჭრის, რადგან ყველა მოქალაქე ვალდებულია, დოკუმენტაცია წესრიგში ჰქონდეს.

დოკუმენტების უსაფრთხოება და ბიომეტრიული პასპორტები — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ მოთხოვნათა ნუსხაში, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავიზო რეჟიმის

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გზაზე...

ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად არის საჭირო.

ევროკავშირის მოთხოვნათა დიდი ნაწილი საქართველოს შესრულებული აქვს, თუმცა, კვლავ რჩება საკითხები, რომელიც რეფორმას საჭიროებს. მათ შორის, ანტიდისკრიმინაციული კანონიც კი, ხმაურთანაა რომ განიხილეს პარლამენტში და ერთხმად დაამტკიცეს. „კანონი მინიმალურ სტანდარტებს აკმაყოფილებს, თუმცა, საჭიროა მეტი ქმედითი შექაჩვების ჩაწერა“, — აცხადებს მესამე სექტორის წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი, პროექტების მართვის ხელმძღვანელი. ის ასევე ითხოვს, სახელმწიფომ კონკრეტულად დაასახელოს თარიღი, როდის გადავა სრულად ბიომეტრიულ პასპორტებზე...

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ბრიტანელ კოლეგა უილიამ ჰეიგთან ერთად გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროკავშირთან



უვიზო მიმოსვლა ჩვეულებრივი პასპორტებით შესაძლებელია მოხერხდეს 2015 წლის ბოლოს ან 2016 წლის დასაწყისში. ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა ორი ნაწილისგან შედგება. პირველი არის საკანონმდებლო ბაზა, ხოლო მეორეა — მისი იმპლემენტაცია. საკანონმდებლო ნაწილის დასრულება წლებად ზაფხულს იგეგმება, რის შემდეგაც მეორე ნაწილზე მუშაობა დაიწყება. „თუმცა, მეორე კომპონენტის განხორციელებას უფრო ადრე შეეძლება, ვიდრე გეგმა მოითხოვს. ეს შეიძლება ერთი წელი, ან ცოტა მეტ ხანს გაგრძელდეს“,

— აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

რას ითხოვს კონკრეტულად ევროკავშირი? — მას სულ 31 მოთხოვნა აქვს, რომელთაგან ნახევარი საქართველოს სრულად აქვს შესრულებული.

სავიზო რეჟიმის გამარტივებაზე დიალოგი ორი წლის წინათ დაიწყო, ხოლო შარშან საქართველოს წარედგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც ოთხი ბლოკისგან შედგება: დოკუმენტების უსაფრთხოება; საზღვრის მართვა; მიგრაცია და თავშესაფრის პოლიტიკა; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება; საგარეო ურთიერთობები და ადამიანის ძირითადი უფლებები.

რაც შეეხება ბიომეტრიულ პასპორტებს, საქართველომ უკვე შექმნა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო ბიომეტრიული პასპორტების გამოშვების მიზნით, რომელიც სრულად შესაბამება საერთაშორისო (ICAO) სტანდარტებს, „ერთი პირი — ერთი დოკუმენტის“ პრინციპის დაცვით.

თუმცა, შეუსრულებელი აქვს მთავარი პირობა — დაანცხოს მკაფიოდ ვადა ბიომეტრიული პასპორტების სრული მასშტაბით გამოყენებისთვის, მათ შორის საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულოებში, ასევე იმ პასპორტების ხმაურებიდან ამოღებისთვის, რომელიც ICAO-ს სტანდარტებს არ შეესაბამება.

ფაქტია, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით ფენს ითრებს, ვინაიდან კარგად არის ცნობილი საპატრიარქოს შეუვალი პოზიცია ბიომეტრიულ — ანუ ეშმაკის კოდის მქონე პასპორტისადმი. ვერ გეტყვით, უკვე შეუქმნა თუ არა საფრანგეს სატანამ იმით, ვინც უკვე ასეთ დოკუმენტს ფლობენ, მაგრამ მართლმორწმუნე ქრისტიანებს ეს ფაქტი უდავოდ აშინებთ. საინტერესოა, როდის და როგორ შეძლებს წულუკიანის უნებება, უმტკივნეულოდ მოაგვაროს ეს პრობლემა, მაგრამ არც ის უნდა დაგვაიწმინდოს, რომ ამის გარეშე ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე ოცნებაც კი ზედმეტია...

თბა მოსია

უჩემოდ ვით იმდარათა



ამერიკელმა საპრეზიდენტო ორდენების დარიგება არა პრეზიდენტის, არამედ სახელმწიფოს სახელით მოხდება. პირველი პრეზიდენტი უკვე დაშვებულია, როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრმა ქართულ-გერმანულ 26-საუკუნოვანი მეგობრობის იუბილის აღსანიშნავად ჯამლექ სუსაშვილს ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენი პირადად გადასცა.

ბრძოლა პირველობისთვის თუ საპარლამენტო მოდელისთვის ქვეყნის მორგება? ამ საკითხზე ექსპერტები, ჯერჯერობით, ლიად არ საუბრობენ, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, რომ მთავრობის გადანაცვლებით საპრეზიდენტო სტიპენდია პრეზიდენტის სახელით აღარ გაიცემა, ის პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადავიდა და მას სახელმწიფო სტიპენდიის პროგრამა დაერქვა. რატომ რჩება უფლებამოსილების გარეშე პრეზიდენტი, სდება თუ არა ძალაუფლების დემონსტრირება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან? ამ საკითხებთან დაკავშირებით For.ge ექსპერტს შია სუსაშვილს ესაუბრა.

პრემიერ-მინისტრის მხრიდან ჯამლექ სუსაშვილის ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დაჯილდოების შედეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ საპრეზიდენტო ორდენის გადაცემის უფლება აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში გადადის. ეს არაა ერთადერთი ფაქტი, ამას წინ უსწრებდა საპრეზიდენტო სტიპენდიის საკითხი, უშიშროების საბჭოს ანალოგიური ფუნქციის შექმნა პრემიერის დაქვემდებარებაში. გასაგებია, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, მაგრამ რითი აიხსენება ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ფაქტობრივად უფლებების გარეშე რჩება?

გია სუსაშვილი: ვფიქრობ, რომ ის არ გუმენტი, რომ საპარლამენტო რესპუბლიკის მიხედვით, ამ შემთხვევაში სწორი არ იქნება. რადგან ეს პარლამენტის სასარგებლოდ არ ხდება, ეს ხდება მთავრობის, ანუ აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ. საერთოდ არ მიმაჩნია ეს მნიშვნელოვან საკითხად, ლიბერლის მომხრეებია მხოლოდ. თუ ვინმე არის ამ ხელისუფლებაში, ვისაც ეს საკითხი მნიშვნელოვანად მიაჩნია, რომ მაინცდამაინც თვითონ ჰკიდებდეს ვილაცას ორდენებს, ეს უფრო ბრეჟნევის ასოცირებას იწვევს ჩემში. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი არც მარგველაშვილისთვის არის მნიშვნელოვანი.

მნიშვნელოვანი აქ სხვა რამეა – დღეს ქვეყანაში არის ხელისუფლების სამი შტო, ქვეყანა დღეს სწორი ბალანსის ძიების პროცესშია. თუ სახელმწიფოებრივად მივუდგებით ამ საკითხს, ერთი რამ უნდა გვესმოდეს, აქ ფუნქციონალურად მთავრობა გახლავთ ხელისუფლების ის შტო, რომელიც ოპერატიულ მართვას ეწევა ქვეყანაში მიმდინარე პროცესების და ეს სწორი მიდგომაა. კანონმდებელი არის პარლამენტი და პრეზიდენტი ძირითადი სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრაში იღებს მონაწილეობას, კონკრეტულ მენეჯმენტში არ ერევა და ფორსმაჟორის შემთხვევაში აქტიურდება მისი მოქმედებები, ეს ყველაზე ცივილიზებული მოდელია.

მაგრამ, თუ ვინმე ცდილობს, რომ თავის კენს გადაქაჩოს ეს საბანდი და რაც შეიძლება მეტი ძალაუფლება მიიღოს, ეს ადამიანურად გასაგებია. რატომღაც ადამიანებს უყვართ, ბევრ რამეს რომ დაიყარონ თავზე და მერე ვეღარ ზიდავენ, ეს არის პრობლემა. რადგან ტიპის ადამიანებისთვის ეს დამახასიათებელი თვისებაა. გიორგი მარგველაშვილისთვის ეს საერთოდ არ წარმოადგენს პრობლემას და უფრო სახელმწიფოებ-

ორდენების ძალაუფლება

რივად არ არის სწორი. ვფიქრობ, რომ არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ უნდა იყოს სხვანაირად განწყობილი. საბნის თავისკენ გადაქაჩვის მცდელობის ფაქტი, ეს არის ძალაუფლების დემონსტრირება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან?

არა მგონია, რომ ამას პრემიერ-მინისტრი ცდილობდეს. ასე არ შევხედავდი ამ საკითხს, რადგან არსებობს უფრო სერიოზული თემები, იგივე მოქალაქეობის მინიჭების საკითხი. იცით, რომ ამავზეც იყო საუბარი, თითქოს ვიზა უნდა მიეღო პრემიერისგან, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ იყო გაუგებრობა და საერთოდ არც დამდგარა ეს საკითხი დღის წესრიგში.

– მაგრამ დღის წესრიგში დადგა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ლიად ითქვა, რომ მას ხელს პრემიერ-მინისტრი მოაწერს, ამას მოჰყვება უკვე უშიშროების საბჭოს ანალოგიური ფუნქციის შექმნა პრემიერის დაქვემდებარებაში...

– გეტანხმებით, ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწისგან ისეთი კომენტარიც მოვისმინე, რომ ლარიბაშვილმა იმუშავა და, რა თქმა უნდა, მან უნდა მოაწეროს ხელი. ეს ისეთი სასაცილო არგუმენტია, რომ ამაზე საუბრის არ ღირს. ყველას კარგად უნდა ესმოდეს, რომ ხელმოწერა ეს არაა რაღაცა ჯილდო. სახელმწიფო მოღვაწე ასე არ უნდა აზროვნებდეს საერთოდ. ქვეყანა აწერს ხელს და ხელი უნდა მოაწეროს იმან, ვისაც ეკუთვნის, როგორც ეს კონსტიტუციაში წერია, ანუ უფლებამოსილება პირმა უნდა მოაწეროს ხელი და არა იმან, ვინც მეტი ან ნაკლები იმუშავა.

კი ბატონო, ჩვენ შეიძლება მადლობა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც ამ საკითხზე იმუშავა, მაგრამ ყველამ იღვანა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ეს არის ჩვენი უბედურება, რომ ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე ასე აზროვნებს. ეს პრემიერს არ ეხება, მისგან არ გამიგია ასეთი განცხადება.

– ეს განცხადება საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა...

– არიან ენ. ადამიანები, რომლებიც აი, ასეთი ეგზოტიკური ფორმით ცდილობენ ვილაცას ერთგულება დაუმტკიცონ, რაც კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ძალიან არასასიამოვნო საყურებელია, მაგრამ მთავარია, რომ თვითონ პირველი პირები არ აყვინდ ასეთი ტიპის, არ ვიცი ამას მლიქვნელური დავარქვა, თუ რა ქმედებებია. სწორ შემთხვევაში, ასეთი ტიპის დაძაბულობა იქმნება ენ. კეთილსმყოფელების მხრიდან, ანუ ადამიანები გაუგებრობაში შეჰყავთ საკუთარი გარემოცვის ნევრებს იმით, რომ ისინი ეუბნებიან, შენ ხარ ყველაზე მაგარი, ყველაზე ლამაზი, ამიტომ შენ უნდა იყო ყველგან და ყველაფერში. საბოლოო ჯამში, ამას კარგი არავისთვის არ მოაქვს. თვითონ ის ზარალდება, ვინც ამას აყვება.

– შეიძლება პრეზიდენტსა და პრემიერს შორის ურთიერთობაში სწორედ ეს ფორმულა იდგეს, რომ შენ ხარ ყველაზე მაგარი და ყველაფერი შენ უნდა იყოს?

– იცით, ადამიანები ძალიან მარტივები არიან და ამაზე მეცინება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მთავარია, პირველმა პირებმა მართლა არ ირწმუნონ, რომ ყველაზე ლამაზები და მაგარები არიან, აი, საფრთხე დგება მაშინ, როდესაც ეს ხდება. ჩვენი ხელისუფლების სამივე შტოს პირველ პირებს ისეთი მაგალითი აქვთ მიშა სააკაშვილის სახით, რომ ამ გამოცდილების არგენტალისწინება, ჩემი აზრით, შეუძლებელია.

მე მაინც მშვიდად ვუყურებ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს რაღაც ტიპის პერსონალურ პრობლემად არასოდეს არ გადაიქცევა ამ ქვეყანაში. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ისინი ყველანი არიან ამ ქვეყნის მსახურები და არა ბატონები, რომლებმაც რაც შეიძლება მეტი რაღაცა უნდა დაიყარონ თავზე, მით უმეტეს, როცა არ შეუძლიათ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, ვინ უნდა მოაწეროს ხელი ასოცირების ხელშეკრულებას?

– მე დავინტერესდი ამ საკითხით და ვნახე, რომ კანონში საკმაოდ ცალსახად არის განმარტებული, რომ პრეზიდენტის კომპეტენციაა ამ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა. თუმცა, ესეც შეთანხმების საგანია, მარგველაშვილი ამ კუთხით ძალიან კომპეტენტული ადამიანია, მისთვის არაა მნიშვნელოვანი თემა ვინ მოაწერს ხელს, მისთვის მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანა აწერს ამ ყველაფერს ხელს.

ასე რომ, თუ ვილაცას ძალიან უნდა ხელის მოწერა და კანონი ამის საშუალებას იძლევა, არ მგონია, რომ ეს პრობლემად იქცეს. თუმცა, იცით რა, ის ადამიანები, რომლებსაც ასეთი სურვილები უჩნდებათ, თვითონ უნდა დაფიქრდნენ, რომ საბოლოო ჯამში, ამით იმას კი არ აზარალებენ, ვისაც თავისი გაგებით, რაღაცას ართმევენ – თვითონ ზიანდებიან. საზოგადოება კი ამას ძალიან მძიმედ და მტკიცებულად აღიქვამს, ეს

ყველაფერი იწერება და საბოლოო ჯამში, ასეთი ფაქტორები ხდება პოლიტიკური კარიერის დასრულების მიზეზი.

– პრეზიდენტი, რომელიც არის აბსოლუტური ძალაუფლებით არჩეული და რომელსაც ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხი აქვს, რადგან სწორია, როდესაც ისედაც შემცირებული უფლებების კიდევ უფრო უმცირებენ?

– ასეთი რამ არ მომწონს, ეს ხომ არაა სათამაშო სტრუქტურა?! არავის არ მოეთხოვება პოლიტიკაში მეგობრობა და კარგი ურთიერთობა, მაგრამ, თუ დავუშვებთ, რომ არის რაღაცა წინააღმდეგობები, ყველამ კეთილად უნდა ინებოს და თავისი პირადი დამოკიდებულება გადადოს გვერდზე, როდესაც ის სახელმწიფოს ემსახურება. ჩაეტიონ საკუთარი კომპეტენციის და კანონის ფარგლებში და შესარულონ თავისი მოვალეობა.

– ბიძინა ივანიშვილმა გააკრიტიკა, რასაც თვლიდა, რომ კრიტიკის საგანი იყო და ხმა-მალა თქვა, მაგრამ ის არ იღებს სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობას და მან გამოთქვა თავისი მოსაზრებები. სხვათაშორის, გიორგიმ თქვა, რომ მისთვის ძალიან მტკიცებულა ივანიშვილის კრიტიკა.

– პოლიტიკაში არიან სხვადასხვა ტიპის ადამიანები, რომლებიც მოქმედებენ პულტზე თითის დაჭერის პრინციპით და რასაც ჩასძახებ, იმას ამოძახებენ, ეს არის დღევანდელი პოლიტიკური რეალობა. მე არ მინდა, ვინმეს შეურაცხყოფა მოეყენოს, მაგრამ ასეთები ძალიან ბევრი არიან და მათ შორის დღევანდელი ხელისუფლებაში. მათ ივანიშვილის ეს კრიტიკა გაიგეს გარკვეულ მესიჯად ისე, რომ არც დაფიქრებულან და შესაბამისად მოიქცნენ. ეს სასიამოვნო საყურებელი არაა, მაგრამ რა ვქნათ ახლა? არც არავის უკვირს ასეთი რამ საქართველოში.

დრამატიზაციის მომხრე არ ვარ. ჩვენ გადავვდივით ახალ კონსტიტუციაზე, სანამ ეს ყველაფერი ერთმანეთს კარგად მოერგება, გარკვეული წინააღმდეგობები საბნის გადაქაჩვის სახით, იქნება. ვინც უფრო მეტად აქტიურია, ის უფრო მეტად ცდილობს, რომ ეს საბანი თავის კენს გადაქაჩოს. არ ვიცი, რაში სჭირდებათ, მაგრამ ამბიციური ადამიანები არიან და ჰგონიათ, რომ ყველაფერი თვითონ უნდა გააკეთონ. მაგრამ, ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი დაილექება და დაინმინდება.

ეს არც გიორგისთვის არის მარტივი, ამ ყველაფერს შეგუება უნდა, მაგრამ ერთი რამე შემოიძლია გითხრათ, გიორგი მარგველაშვილი არაა ისეთი მარტივი ადამიანი, რომ ასე ადვილად ვილაცამ დაჩაგროს. ამის სიმპტომები გამოჩნდა, მაგრამ არც იმას გააკეთებს, რომ საკუთარი ამბიციური ინტერესები სახელმწიფოს ინტერესზე წინ დააყენოს. თუ ვინმე მეტი ძალაუფლების მოხვეჭის პრინციპით იმოქმედებს სახელმწიფო ინტერესის საზიანოდ, ეს ძალიან მძიმე იქნება თვითონ მისთვის.

არავის არ ვურჩევდი ასეთი ტიპის ქმედებებს. ჯერჯერობით სისტემურს ვერ ვხედავ, გასაგებია ორდენების საკითხი, არასასიამოვნო თემაა, მაგრამ, თუ რამე გამოჩნდა რეალური და ვილაცა ამ მიმართულებით უფრო სერიოზულ თემებზე გადავიდა, მაშინ შეიძლება უფრო სხვა ტონში ვისაუბროთ. ჯერჯერობით, ეს ყველაფერი ეტევა ადამიანური სისუსტეების ფარგლებში, რისი ატანაც მგონია, რომ შეიძლება.

თამთა ძარჩავა

აკაკალ გულში

- რამე რომ იყოს „მართლმადიდებელმა მრევლმა“ მანანა კობახიძემ, ზურაბ ტყემალაძემ და.შ. იქნებ გვიტოვონ მათთვის პარტიარქის განცხადება უფრო მნიშვნელოვანია თუ უსუფაშვილის? უბრალოდ, არჩევნები უფროსი და ელექტორატი ნარმანიაზე და ოცნების მაფორტირულ კანდიდატებზე რაღაც სხვანაირად არ იფიქროს!
- დემოკრატია ქართულად: აბსოლუტური უმცირესობის მმართველობა, ჩელებელა, მოქალაქე – სოფელი, მერი – მერი პოპინის და ასე შემდეგ...

პირიქით ასინეთა, პირიქით...
● ბატონო ირაკლი Irakli Garibashvili Official, 17 მაისამდე კარგა ხნით ადრე გთხოვთ, რომ პირადად თქვენ, შს მინისტრმა და ყველამ, ვისაც ეს ეხება და პროვოკაციის პრევენცია შეუძლია, ნებისმიერი ღონე ინმართი საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის მოსალოდნელი შეტაკების და ამა თუ იმ სახელგატყობი თუ სახელგატყობი არასათავრობო ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი, დაუგეგმავი, გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი „ოშის“ თავიდან ასაცილებლად. თქვენი აქტიური მოქმედებების იმედი გვაქვს!!! ნუ მივივანთ საქმეს ხალხის დაპირისპირებამდე, თორემ მერე უკვე

წერტილოვანი ფრაზები

გვიან იქნება და არც აზრი ექნება დამნაშავეების ძებნას და „თითზე კბენას“...

გთხოვთ, ნებისმიერი, ვიმეორებ, ნებისმიერი ზომა მიიღოთ დაპირისპირების აღსაკვეთად... ნებ ის მიე რა!

● პრაქტიკულად აიოვოს შტატი ვართ ის B шатте Айова все хорошо. А жаль, хорошая была бы рофма!

● სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, პქონდეს საკუთარი პოლიტიკური, რელიგიური თუ სხვა მრწამსის არავის აქვს ამ თავისუფლებების შეზღუდვის უფლება. სოლო ისინი, ვინც ამ შეზღუდვების მიუხედავად, განაგრძობენ საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვას, თავისუფალი ადამიანები არიან. მე ვარ თავისუფალი ადამიანი და მე არ შეგაზღუდინებ არც ერთ კონსტიტუტურას ჩემს უფლებებს, რომელსაც კონსტიტუცია და ჩემი მრწამსი იცავს! გაუმარჯოს თავისუფლებას!

● ქოცებო და ნაცებო მიდით და იამაყეთ, თქვენს ხაზინთან ერთად! ფუ თქვენი... ობამამ იფისი ლგბტ სიამაყის თვედ გამოაცხადა პარასკევს, ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომლის თანახმად იფისი ლგბტ სიამაყის თვედ დგადდება. აშშ-ის მეთაურმა აღნიშნა, რომ „საქორწინო თანასწორუფლებიანობისთვის ბრძოლის ფრონტზე“.

● ამერიკას არ აღმოვაჩინ (ნეტავი არც იმას აღმოვინა), მაგრამ ამ ატორებული ვითომდა მოსმენებით... 1974 წლის 9 აგვისტოს ცნობილი ამერიკული ამბის გამოცხადებას რომ ცდილობს წამოყვლელებზე ული, როდესაც რიჩარდ ნიქსონი ამ მოტივით აიძულეს გადამდგარი-ყო. რაც შეეხება იმ შექახილებს (სე რომ გაახმო თავის დროზე), ამ შექახილებით, მის გამოხატვასაც ცდილობენ ისევე ყველგვანნი... საოცნებო ფოთლებისგან (თუ რა და ვინ იგულისხმება სხვა და მის ფოთლებში, მიმსხვდებით), რაც ვრისა და ქვეყნის სასარგებლოდ წყვალს არ ასხამს როგორც ცხონებული ბატონი ჭაბუა ბრძანებდა: „ჭკუით, ქართველებო!“

ამოკრიბა
შია გავრიძიძე

9 მაისი ფაშის დასამარების დღეა. უამრავი ქვეყნის მილიონობით ადამიანის გამარჯვების საზეიმო დღე. ეს გახლავთ სტალინის მთავარსარდლობით ყველაზე სისხლისმღვრელი საშინელების დასასრული.

თავისი მასშტაბებით მეორე მსოფლიო ომი მანამდე მომხდარ ყველა ომს გაცილებით ადრეატივობდა მონაწილე ქვეყნების რიცხვით, მებრძოლთა და დაღუპულთა რაოდენობით, ტექნიკისა და გამოყენებული საბრძოლო იარაღების მასშტაბით. ამიტომ გენერალისიმიუსი სტალინი, გაერთიანებული ჯარების ყველა სარდალზე ერთი თავით მაღლა დგას. წარმოუდგენელია 9 მაისი სტალინის გარეშე და პირიქით.

სრულყოფის შეტრუნებულმა აზროვნებამ და სტალინისადმი მისმა სიძულვილმა მიიღებინა ყოველად გაუმართლებელი და ბინძური გადაწყვეტილება. რასაც მოყვა ეგრეთ წოდებული „სტალინის კულტი“, სარდლის ღირსების შელახვა და მისი ძეგლების მასობრივად დაშლა და განადგურება.

თუმცა, ამან კი არ დაჩრდილა მეორე მსოფლიო ომში სტალინის გამოჯვრების მნიშვნელობა, რომელშიც 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა და თითქმის ნახევარი ბრძოლის ველზე დაეცა, ათასობით კი ხეივანი დაბრუნდა, არამედ განადიდდა მისი როლი და ღირსებები.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი ნათელი დადასტურებდა თუ, როგორ აფასებდა მოსახლეობა ომში გამარჯვების მნიშვნელობას და როგორ ცდილობდა სტალინის უკუდასავსაყოფად ძეგლებისა და მონუმენტების კვლავ აღმართვას.

1975 წელს. აფხაზეთის აჩიგვარის მეორე საშუალო სკოლაში 9 მაისის ზეიმისთვის მოემზადნენ (სკოლის დირექტორი ინდიკო ჩხვირკია). საპატიო სტუმრებს შორის იყო გერმანიის რაიხ-სტაგზე გამარჯვების დროშის ამტანი, საბჭოთა კავშირის გმირი მედიკოსი ქანთარია. როცა მოწვეული სტუმრები სკოლის ამწვანებულ ეზოს ავგალიერებდნენ, მედიკოსი ქანთარია შენიშნა „პოსტამენტი“, რომელსაც მოცილებული ჰქონდა სტალინის ძეგლი. მივიდა ახლოს და დანახვით თქვა „ნიკიტამ მეორედ მოწამლა სტალინი, როცა ბელადის ძეგლები ადების განკარგულება გასცაო.“ მაშინ სკოლის დირექტორმა, ბატონმა ინდიკომ მიმართა: „აღდგენა გვინდა, მაგრამ არქიტექტორები დიდ თანხას ითხოვენ, სკოლას კი ამის საშუალება არ აქვს“.

იქვე მდგომმა აჩიგვარის მეურნეობის დირექტორმა გრიშა ჩაჩიბაიამ ჩურჩულით თქვა „თუ ჩემს სახელს არ გაამხელებთ, ძეგლის თანხაზე ნუ იდარდებთ, მე გადავიხდით“.

ასე დაიწყო ძეგლის აღდგენისთვის საამი ადამიანის ფარული ზრუნვა.

სკოლის დირექტორმა მიიგნო თუ სად იყო ჩამარხული სტალინის ძეგლი ძეგლი. იგი სამად იყო დანაწილებული. მხარი და თავი სანჯობის კუთხეში მიეგდოთ და ზედ ხარა-ხურა მიეყარათ, სახე საგრძობლად ჰქონდა დაზიანებული. სხვა ორი ნაწილი ზენარში გახვეული ჩაეფლათ მიწაში. ყველა ნაწილი მოიძიეს, შეარჩიეს მოქანდაკე კანდიკო ლეჟავა. თავის საქმის პროფესიონალი, ნამდვილი ქართველი და საქმეს შეუდგნენ.

რადგან ძეგლი სამ მეტრისა იყო, ხოლო კვარცხლბეკიანად შვიდ მეტრს აღემატებოდა, საჭირო იყო სათანადო სათავსოსა და პირობების შექმნა, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. ფარულად მთელი ორი წელი მიმდინარეობდა საქმიანობა.



ეპიფანი ჯულაშვილი (სენატრი) აჩიგვარში.

ჭეშმარიტი სიღიადა

და საქმიანობა. გადაწყდა ძეგლის დადგმა ძველით ახალი წლის დღეებში, ანუ კალანდობაზე.

1977 წლის 13 იანვარს, როცა სიბნელემ მოიცვა არემარე, წინასწარ გაფრთხილებული ამენ შევიდა სკოლის ეზოში, დირექტორს გვერდიდან არ შორდებოდნენ სანდო ვაჟაკები, შემდუღებული და მკლავმარჯვე თანასოფლელები. რადგან სკოლა ზედ სოხუმი-ზუგდიდის მთავარ მაგისტრალზე მდებარეობდა, საჭირო გახდა გზის მხარის ბრეზენტით დაფარვა, რათა მავანის თვალისთვის მოერიდებინათ... მალე მოვიდა სატვირთო მანქანა, რომელმაც მოიტანა აღდგენილი ძეგლი. ყველას გამოუჩნდა საქმე, საოცარი სისათუთით ექცეოდნენ ძეგლს, რომ რაიმე არ დასველობდა.

სიფრთხილისთვის დამატებითი ზომებიც მიიღეს, სკოლის ეზოს შემოსასვლელთან დააყენეს ადამიანი, რომელიც აყურადებდა ქუჩიდან არ შექმნილიყო რაიმე საფრთხე. რადგან მაგისტრალზე ინტენსიური მოძრაობა არ ცხრებოდა. ოთხსაათიანი დაძაბული შრომა მოუხდა შემდუღებულს. საოცრად ლეღავდა არქიტექტორი და მასზე მეტად სკოლის დირექტორი ინდიკო ჩხვირკია, რომელიც იყო ძეგლის აღდგენის მთავარი ინიციატორი და „აკრძალულ ქმედებაზე“ პასუხისმგებელი.

გვიან ღამეს დასრულდა სამუშაო. ყველანი ერთმანეთს ულოცავდა წარმატებას, ხალხი მოზღვავედა სკოლის ეზოში. ათი, ასი... ორასი... თვლა არ ჰქონდა მანქანების რაოდენობას. ვის შამპანური მოჰქონდა, ვის არაყი და ღვინო. ქალბიცი არ ჩამორჩნენ მამაკაცებს, ხაჭაპური და ტკბილეული შეჰმატეს საზეიმო სუფრას.

შაბათი საღამო იყო. თითქმის დღამდე გაგრძელდა ძეგლის მონახულება და ამალელები განწყობა. დაიშალნენ, მაგრამ არვის უწყობდა, რა განვითების დღე ელოდათ ძეგლის განახლების ორგანიზატორებს, განსაკუთრებით სკოლის დირექტორს, რომელიც გულწრფელად ურჩევდნენ თავზე არ დაედო მთელი პასუხისმგებლობა. იგი კი პასუხობდა „თუ საქმე გართულდა, საქმე ქმნილი, მე მიღირს მოსალოდნელ შედეგადო“.

კვირას არავინ შესმიანებია სკოლის დირექტორს. ორშაბათს დღის თერთმეტ საათზე რაიკომის ინსტრუქტორი გამოეცხადა და აუწყა რაიკომის პირველი

მდივანი გიბარბოსო. მიხვდა რაზეც მოუწევდა პასუხისმგება. დანიშნულ დროს გამოეცხადა პირველ მდივან ოთარ ზუხბაიას, რომელმაც მიღებისთანავე ატაკა.

— ააშენე კომუნიზმი აჩიგვარაში ხომ? — თქვენთან ერთად ვაშენებთ კომუნიზმს ამხანაგო მდივანო — მიუგო ოდნავ ჩახლეჩილი ხმით, რომ ხელისუფლის რისხვა არ გამოეწვია.

— მთლად შეთანხმებულად არ მივდივართ... თქვენი გზა განზე უხვევს — ხმის კილოში ეტყობოდა სიბრაზე არ ერთო გულში. ვერ იქნებოდა ქართველი კაცი სტალინის მოძულე და ფაშისმის დამსამარებლის უარყოფელი.

— ამ დღით აფხაზეთის „აბკომიდან“ დამიკავშირდნენ, შემდეგ ვესაუბრე ცეკას მდივან შევარდნაძეს ...

ოდნავ შეცბა სკოლის დირექტორი. მიხვდა რამხელა რეზონანსი გამოიწვია მისმა გაბედულებამ და სტალინისადმი პატივმიგება, მდივანს ვერ ეტყვის მეურნეობის დირექტორი დამხმარა ფინანსურადო, „სასჯელის“ შესამსუბუქებლად ვერც სხვა მხარდაჭერთ გათქვამდა. უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა, ამას უკარნახებს ადამიანური ღირსება.

— მათ დამავალეს — გააგრძელა საუბარი პირველმა მდივანმა — გავარკვიო ორგანიზატორების ვინაობა და ზომე... — აქ შეყვინდა — ყველაფერი უკვე მომხსენეს...ახლა მახარაძიდან სტუმრები მყავს, არ მცალაია, შენთან რაიკომის წარმომადგენლები მოვლენ და მერე ვილაპარაკოთ.

ხმა მუქარის შემცველი არ ჰქონია. ეს დირექტორმა ერთგვარ მხარდაჭერად ჩათვალა და სკოლაში იმედიანად დაბრუნდა.

დღის მეორე ნახევარში ქალაქის მეორე სკოლაში რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე იური კაკრბა მივიდა და გალიმებული სახით უთხრა „ჩემო ინდიკო, იმ კარგ საქმეს, რომელიც თქვენს ეზოში გაკეთდა, კარგი სადღეგრძელო მოუხდება, ვიცი შაბათი საღამოს აქ ზეიმი გქონია“.

დირექტორმა ამალელებულ ხმაზე მიუგო.

— აბა რისთვის ვართ ჩვენ აქ, თუ სტუმრების გამასპინძლებას ვერ შევძლებთ. თუმცა, ძალიან მაინტერესებს, იქ, ზევით ამ ყველაფერზე რას ფიქრობენ?

— რაიონში ვინც ამინდს ქმნის, რასაც ფიქრობს, ამაზე სადღეგრძელოში გეტყ-

ვი, ვფიქრობ დიდად არ დალონდები — მიუგო გაბადრულმა კაკრბამ.

იმ დღეს იქეიფეს. სტალინი ადიდეს. ომში დაღუპულები მოიგონეს. ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის სადღეგრძელო დაიღეს.

ამის შემდეგ სკოლის დირექტორი არსად დაუბარებიათ და მისაბაძი ინიციატივისთვის არ დაუსჯიათ.

ვინ არ მოდიოდა სკოლაში განახლებული ძეგლის სანახავად, აფხაზეთის მახლობელი რაიონებიდან და სოფლებიდან, მოჰქონდათ ყვავილები, თაიგულები, იღებდნენ სურათებს.

განსაკუთრებული გამოცოცხლება და ამალელები განწყობილება შეიქმნა 21 ივნისს, როცა ძეგლი მოინახულა სტალინის შვილიშვილმა, ევგენმა. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, მისი მოსვლა ელვის სისწრაფით მოედო აჩიგვარას. საპატიო სტუმარს მოჰყვინენ გულრიფშის აეროპორტის მუშაკები, ოჩამჩირის ინტელიგენცია, მალევე მოვიდნენ გალის რაიონის ხელმძღვანელები. სკოლის მოზრდილი ეზო სტუმრებს ვერ იტევდა.

ევგენიმ ძვირფასი გვირგვინით შეამკო დიდი და სახელოვანი ბაბუის ძეგლი. გადაიღო სურათები ძეგლები და ხალხის ფონზე. შემდეგ მოსწავლეებს ავტოგრაფები დაურთა და დიდი ხანი ვერ იცხრობდა ალტაცებას, არა მხოლოდ ძეგლის აღმართვის გამო. არამედ, მოსახლეობის გულთბობის გამო.

გავიდა გარკვეული ხანი. სკოლაში მოვიდნენ აფხაზეთის უშიშროების მუშაკები. ერთი მათგანი დირექტორის კაბინეტში შევიდა, თავი გააცნო და უთხრა ძეგლთან სტუმრები გელოდებიან და უნდა მიხვიდეთო. როცა ძეგლთან მივიდნენ, იქ სამი მამაკაცი იდგა გადმოკარკული თვალებით. ერთ-ერთმა უთხრა, ძეგლი უნდა მოხსნათ, დირექტორო, ბრძანება გვაქვს, რომელიც განსჯას არ ექვემდებარებაო.

ბატონი ინდიკო ჩხვირკია მოულოდნელობისა და კატეგორიული ტონის მიუხედავად იკითხა „ეს ძეგლი არავის არაფერს არ უშავებს, და რადგან განსჯას აზრი არ აქვს, მიზეზი მაინც მითხართო“.

გაირკვა, რომ ზაფხულში, როცა მოსწავლეები არდადეგებზე იყვნენ წასულნი, მაგისტრალზე ჩამოუვლია პოლონეთის უურნალისტა დელეგაციას. უნახავთ ეს შეიძმეტიანი ძეგლი, გაუჩერებიათ მანქანა, სკოლის ეზოში შესულან, სურათი გადაუღიათ, ქუჩაში ხალხისთვის კითხვები დაუსვამთ და ეს ფოტოსურათი სათანადო ანოტაციით პოლონურ უურნალში გამოუქვეყნებიათ, სადაც ფიგურირებდა შემდეგი წინადადება „ქართველი ხალხის სურვილია სტალინის რეპლიკატივია, მაგრამ საბჭოთა რუსეთი ამის ნებას არ რთავსო“.

ეს გამოცემა თურმე მოსკოვში, ლენინის სახელობის ბიბლიოთეკას მიუღია, ვიდაცას ნაუკითხავს და უცნობებას სათანადო ორგანოებისათვის ზომების მისაღებად.

ეს ფაქტი კიდევ ერთი აშკარა მაგალითია სამამულო ომში ფაშისმზე გამარჯვებისა და სტალინის ღვანლისადმი სახალხო პატივისა, რომელიც არასდროს ნაიშლება.

ასევე არასდროს ნაიშლება აფხაზთა და ქართველთა მეგობრობა და ურთიერთობა, რადგან მას მყარი ფესვები აქვს გადგმული ორი მოძვე ხალხის გულელებში.

ზორის დავითიანი,

საქ. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ალიან-ჩალიანი



პატივი მივაბს გმირთა სსოვნას

საბართიშვილოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა სსოვნას პატივი მიიგნო. როგორც „ინტერპრესნიუსს“, საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, მაია ფანჯიკიძემ და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მეორე მსოფლიო ომში, ფაშისმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულთა სსოვნას პატივი მიიგნეს და ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკეს.

— 8 მაისია დღე, როდესაც მსოფლიო ზეიმობს ფაშისტური გერმანიის დამარცხებას. საქართველომ ძალიან დიდი მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რომ ვეროპაში ყოფილიყო მშვიდობა, აქედან გამომდინარე, ყველა ჩვენგანის ვალია პატივი მივაგოთ დაღუპულების სსოვნას და მადლობა ვუთხრათ და განსაკუთრებით მოგვეფეროთ მათ, ვინც ცოცხალია — ჩვენს ვეტერანებს, ჩვენს ძვირფას ადამიანებს. ტრადიციულად საგარეო საქმეთა სამინისტრო დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ამ დღეს მოდის უცნობი ჯარისკაცის საფლავზე, რათა პატივი მივაგოს მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა სსოვნას. არა მხოლოდ ქართველებს, არამედ ყველას, ვინც ამ დიდ ომს ემსხვერპლა, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ინტერპრესი

იმ ცაცხლოვანი წლების ექო

2011 წელს, საქართველოს ე.წ. დამოუკიდებლობის შემდგომ ისტორიაში პირველად იყო მცდელობა, რომ ფაშისმზზე გამარჯვების დღე არა 9 მაისს გვეხეივებოდა, როგორც აქამდე ვხეივებოდით, არამედ 8 მაისს, როგორც ამას დანარჩენი „ცივილიზებული მსოფლიო“ აღნიშნავს...

ოდიტგან დადგენილი თარიღის „მოულოდნელად“ უარყოფა საზოგადოებას ასე აგვისსნეს: თურმე, ნუ იტყვიოთ და, როცა 1945 წლის 8 მაისს გერმანიის მიერ ხელმოწერილი უსიტყვო კაბიტულაციის აქტმა მოსკოვს ჩამოაღწია, მაშინ მოსკოვში უკვე 9 მაისს გამთენიდა ყოფილა და ამიტომ დადგინდა საბჭოეთში, დანარჩენ მსოფლიოსგან განსხვავებით, 9 მაისს მეორე მსოფლიო ომის დაბრუნების დღედ, ანუ უნდაო, დროის სხვადასხვა სარტყელით გამოწვეულ ტექნიკურ ლაფსუსად შემოგვასალონ ეს აშკარა მცრეხელობა!

არა და არა, შინაურ-გარეულ ისტორიის გამყალბებულ ბატონობა და ქალბატონობა საბჭოთა კავშირში არასოდეს უხეივებიათ ე.წ. მეორე მსოფლიო ომის დასრულება, რადგანაც, რაც „განათლებული და დემოკრატიული“ დასავლეთისთვის ბანალურად, უჯიგროდ ჟღერადი „მეორე მსოფლიო ომი“, ჩვენთვის, „გაუნათლებელი და ბნელი“ პოსტსაბჭოელებისთვის, რომლებმაც სტალინის გენიალური სარდლობით ლომის წილი დავიდეთ ფაშისმზის განადგურებაში, ის ომი იყო, არის და იქნება დიდი სამამულო ომი და სწორედ დიდ სამამულო ომში (როგორც სტალინმა უწოდა ამ ომს) გამარჯვებას ვხეივებოდით 9 მაისს და მომავალშიც ასევე ვიხეივებთ!

ბასათჰალინიწინაპილი იხიც, თუ მოკავშირეთაგან ვინ რა „ფასი გადაიხადა“ ამ გამარჯვებისთვის, – აშშ-მა დაახლოებით 250 ათასი ჯარისკაცი, ხოლო ინგლისმა ამაზე ოდნავ მეტი. სსრკ-მა კი, უკანასკნელი დაზუსტებული მონაცემებით, 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე მიიტანა გამარჯვების სამსვერპლოზე. თუნდაც ამ აშკარად „სასაცილო სხვაობის“ გამო, არა თუ ეკუთვნოდა საბჭოეთს გამარჯვების თარიღის ცალკე დაწესება-აღნიშვნა, არამედ მოვალეც კი იყო გენერალისიმუსი, ამითაც გაეცვა ხაზი და განსაკუთრებული პატივი მიეგო დაღუპულთა ხსოვნისთვის!

თუმცა, საერთოდ რაზეა და ვის თანაბარ დამსახურებაზეა ლაპარაკი, როდესაც პატივსაქართველომაც კი რაოდენობრივად ბევრად მეტი, უკანასკნელი მონაცემებით 400 ათასამდე ვაჟკაცი, შესწირა ფაშისმზზე გამარჯვებას, ვიდრე აშშ-ინგლისმა. საბჭოეთის მოკავშირეები, რომლებმაც მეორე ფრონტის გახსნა მსოფლიო მშენიკადრეს, როდესაც გერმანიის დამარცხება მათ გარეშეც გარდაუვალი გახდა, იძულებული გახდნენ, მეორე ფრონტი გაეხსნათ, რათა ომის შემდგომ ევროპაში „ტორტის გაყოფის“ დროს მსუფენ ნაჭერი მათაც დაეთრიათ...

აშშ, მიუხედავად ამ ყველაფრისა, დღესაც ჯიუტად ცდილობს, რომ ფაშისმზზე გამარჯვების ლომის წილი ისტორიის გაყალბებით მიიწეროს – პოლიტიკური გადაღებული ფილმებიც იმას უმტკიცებენ მსოფლიოს, რომ თითქოს პიტლერული გერმანია მხოლოდ „რიგით რიანებს“ დაემარცხებინოთ და წითელი არმია ლამის არაფერ შუაში იყო. არადა, იმ ომის დროს ნიუ-იორკის ბარ-რესტორანებში ისე უბერავდნენ ამერიკელი ჯაზმენები, რომ ომისა არაფერი ეცომოდათ. ის ყაბაღლებული „ლენდლიზიც“, რითაც სსრკ-ს ესმარებოდნენ, საბოლოო ჯამში საკუთარი ეკონომიკის დახმარებაც იყო, ეკონომიკის, რომელმაც ე.წ. დიდი დეპრესიის შემდეგ პირველად სწორედ მეორე მსოფლიო ომის წლებში დაიწყო აღმასვლა და ომის შემდგომ ნანგრევებდაცეული ევროპის „დახმარებით“ ხომ საერთოდ, როგორც იტყვიან, შავი დედალივით გაკეთდნენ, მდიდრდებოდნენ და მდიდრდებოდნენ...

ინგლისი? – იშვიათი გამონაკლისის გარდა (საუთჰემპტონი), ნაკლებად ეფექტურ ავიადამბომბვებს თუ არ ჩავთვლით, მიიწედადამინიც მიიმედ არც ბრიტანეთი დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, 1945 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის სამეფო ავიაციამ მიძინარე ლაიფცეიგ მიწასთან გაასწორა, რასაც ათი ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის, მათ შორის, ქალე ბიბი და ბაგშეების სიცოცხლე შეენიოა, ანუ მაშინ, როდესაც მესამე რეიხი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა და, აქედან გამომდინარე, ასეთი ბარბაროსობის არანაირი სტრატეგიულ-ტაქტიკური აუცილებლობა არ იყო.

(ყველაფერი შედარებითია და: პარიზის კოპენჰაგენის, ოსლოს, ამსტერდამის და ა.შ. ოკუპაციასაც ოკუპაცია უნდა ერქვას, სადაც ბევრი არაფერი დაუნგრევიათ (თუ რამე დაინგრა და განადგურდა, უმეტესად მოკავშირეთა ავიადამბომბვებისას) პიტლერულებს და სსრკ-ს გადაბუგულ სოფელ-ქალაქებისასაც?)

ამას დაუმატოთ უკვე პრაქტიკულად დამთავრებული მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკელების მიერ ჩადენილი ხიროსიმა-ნაგასაკის ატომური გენოციდი და მერე ილაპარაკონ შინაურმა თუ გარეულმა „პუშინისტმა“ ისტორიის გამყალბებლებმა სტალინის სისხლისმსმელობაზე.

რომ არა ხიროსიმა-ნაგასაკი, რაც, უწინარესად სტალინის „მადის მოთოკვისთვის“ ჩაიდინეს „პუშინისტმა“, სტალინის გადამწყვეტილი ჰქონდა, თურქეთისთვის საქართველოსთვის წართმეული ტაო-კლარჯეთი „აქსია“, რაზედაც დაუფარავად განაცხადა გენერალისიმუსმა 1945 წლის იალტის კონფერენციაზე...

დასავლელი „მშვიდობის მტრეები“ დღეს აქტიურად მუშაობენ, რათა სტალინი და პიტლერი ერთნაირ ბოროტებად აღიარებინონ მსოფლიოს. ამის პირველი მცდელობა ევროსაბჭოში რუსეთის მძაფრი პროტესტის გამო, ჯერჯერობით ჩაუვარდათ...

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის თემების განქიქება არც დღეს და, მით უმეტეს, არც მიშნაცებს დაუნყიათ.

ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რისთვის იბრძოდნენ ჩვენი მამაპაპები კომუნისტების ომში; გამარჯვა პიტლერს, ახლა ბავარიულ ლუნდ დაგვლევათ; რატომ დაიღუპა ამდენი ქართველი, როდესაც ჩვენს მიწაზე გერმანელებს ფეხი არ დაუდგამთ და ა.შ. – მსგავსი სერიოზულ-არასერიოზული სისულელებები

გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს აბოტოქრებული ეროვნული მოძრაობის დღეს უკვე ოდიოზური ზოგიერთი ლიდერის გაცხელებულ თავებში იშვა და მათივე ბაგებიდან სმინდებოდა.

მიშნაცებმა, უბრალოდ, გააგრძელეს ეს ხაზი და ლაპარაკიდან საქმეებზე გადავიდნენ, საქმეებზე, რომელთაგან პირველი ქუთაისში დიდების მემორიალის აფეთქების ვანდალური აქტი იყო. მემორიალის, რომლის გახსნისას თავის დროზე პატარა სასწაული მოხდა – ათობით ჰაერში გაშვებული მტრედებიდან ერთ-ერთმა „ირაო დაარტყა“ და მემორიალის ავტორს, გენიალურ მერაბ ბერძენიშვილს მხარზე დააჯდა (!!!), რაც ღვთის სასიკეთო მიწიშნება იყო უთუოდ.

ამ მემორიალის აფეთქებისას ორი ადამიანი – დედისა და უცოდველი ბავშვის – სიკვდილიც ღვთის მიწიშნება იყო, რაც ყურად არ იყო მიშნაცების მანქურთმა ხელისუფლებამ და შემდეგი „ლიბერალური“ ნაბიჯი გადადგა – შუალამისას მზაკვრულად მიაყენეს ამწეები სტალინის მონუმენტს გორში და ფაშისმზის განადგურების უპირველესი მსოფლიო შემოქმედის ძეგლი უკვალოდ გააქრეს...

აქედან გამომდინარე, გასაკვირია, რომ 9 მაისის 8 მაისით შეცვლაც მინდომეს ამ წლისტებმა?!

ნათქვამია, „წყალნი წაველენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“... ჰოდა, ეს ვარდისფერი ჭირიც მოვიცილეთ 2012 წლის 1 ოქტომბერს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიძიან ივანიშვილის მიერ დასმული ხელისუფლებაც წინამორბედის რიტორიკას განაგრძობს – ქალბატონმა მაია ფანჯიკიძემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჩემთვის, სტალინი და პიტლერი, ერთნაი-

ეეე, ტუტუს, ეეეეე მსოფლიო კი არა, დიდი სამამულო ომი!!!

რი ბოროტებააო, ბრძანა. აღარაფერს ვიტყვი რესპუბლიკელი ხლისტების ბოდვებზე ამ მიმართებით და საერთოდაც, დღევანდელი ხელისუფლება იმ ომს ხაზგასმით მხოლოდ მეორე მსოფლიო ომს უწოდებს და არასოდეს – სამამულოს, ემანდ, დასავლელ პატრონებს არ ეწყინოთო. იმას კი არად დაგიდევენ, რომ ამით, მოსკოვიდან ვიდრე ბერლინამდე მიმობნეულ საფლავებში აფურთხებენ საკუთარ მამა-პაპას და ვექვობ, რომ ცხონებული გურამ ფანჯიკიძეც ბორგაგს საფლავში, ქალიშვილის როყიოდ ნასროლი სიტყვით გაოგნებულ!

ამას დაუმატოთ ნაცებ-ქოცების მიერ ახსნილი საოცარი ერთსულელების მიღებული ე.წ. ანტიანტიკომუნისტური კანონი (რაც კიდევ ერთხელ გააპროტესტა უწინდესმა პატრიარქმა 6 მაისის გიორგობას ქადაგებისას!!!), რომელიც მართლაც ყოველგვარი ქართულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის დისკრინინაცია ლგტ-პედერასტების სასარგებლოდ და გასაგებობა განადგობს, რომ არა თუ სტალინის მონუმენტს უწერია ამათ ხელში გორში დაბრუნება, არამედ ისიც, თუ რატომ „ვერ მოხერხდა“ აქამდე „ქუჯაიზე“ (ხლისტების საყურადღებოდ – „ქუჯაი“, კონსტანტინე გამსახურდიას მწერლურ ფანტაზიაში აღმამენებლის მერანის ერქვა) ამხედრებული წმინდა მეფის ძველ პიედესტალზე დაბრუნებაც.

„ელირსებაო ლუსუსა ლაშარის გორზე შადგომა“ – ამ, უკვე ნიღბახდელ მოცინებებს, ანუ ნაცებ-ქოცების ანტიეროვნულ სიმბიოზსაც მოვიშორებთ! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა გველიროსო ეროვნული ხელისუფლება? და მაშინ სამართალს ყველა მიმართულებით (მათ შორის, აფეთქებულ-შეგინებული თუ „მოსიარულე“ ძეგლებისაც) დაამყარებს ქართველი ერი!

მანამდე კი ერთ სულსშემძვრელ საგას გაამბობთ დიდი სამამულო ომის თემაზე...

„და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი“

არ არსებობს ოჯახი საქართველოში, რომელსაც იმ უსასტიკეს ომში ახლობელი არ დაეკარგოს. ამ მხრივ არც ჩვენი ოჯახია გამონაკლისი და ახლა, რაც მამაჩემისგან მსმენია, იმას გიამბობთ...

1934 წელს მამაჩემის ბიძა თბილისის უნივერსიტეტში სრულიად მშვიდობიან, გეოლოგიის ფაკულტეტზე წაყვლობდა. ამ დროს დაწებულა პირადად სტალინის ინციტივით კავშირის მასშტაბით „ვისოკი, კრასივი“ ბიჭების „დავერობვება“ მაშინ ჯერ კიდევ ახლადფხადგმულ საბჭოთა ავიაციაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი „ვისოკი, კრასივი“ 22 წლის ჭაბუკი გივი ჯორჯოშვილიც აღმოჩნდა. მამაჩემის ბიძაც იმ არმიას შეუერთდა, რომელსაც შემდეგ „სტალინსკიე სოკოლებს“ ეძახდნენ...

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი „ოტეც სოლდატაც“ ჰყავდა – უნივერსიტეტის უბრალო კარისკაცი, რომელსაც მთელი მამიდელი უნივერსიტეტიც და მთელი თბილისიც სიყვარულით ძია მოსეს ეძახდა, ჩემი დიდაპაპა, ვისაც მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ სევედიანი ამბის ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა.



გივის ავიპოლკი მოსკოვთან ახლოს, დაბა კლიაზმაში იყო დისლოცირებული, საიდანაც არაერთხელ გაპოლია მისი ავიამანადგურებლების ესკადრია მძიმე ზომბდამშენებს დამცავ ესკორტად გერმანიის ქალაქების (ბერლინის ჩათვლით) ლაზნული დაბომბვებისას. დაბრუნებისას გივის წესად ჰქონია, უფნელად გადარჩენა იქვე, კლიაზმაში მცხოვრები ულაამაზესი ნინა სოსეკინას სახლის თავზე უმაღლესი პილოტაჟის ტრიუკებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის.

ერთ-ერთი ასეთი „ტრიუკაჩობისას“ შემთხვევით მისი განადგურებლის ფრთა მალალ ალვის ხეს წამოსდებია, მანქანა მსუქად დაზიანებულა, გივი კი „მძიმედ“ დაუსჯიათ – ხელფასიდან დაუქვითეს თვითმფრინავის რემონტის საფასური. ეს ისე, მცირე ლირაკული გადახვევა...

1944 წლის თებერვალში საკუთარი თვითმფრინავით ჩამორენილა შიე ქარხანაში და, სანამ მის თვითმფრინავს გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღე ქიზიყი მოუვლია, მოუნახულე ბია დიდი ხნის უნახავი ნათესავები თუ მეგობრები.

ძია მოსემ საკუთარ შვილს, თბილისში დაბრუნებულ გივის, დიდი ხნის ჭოჭმანის შემდეგ მაინც შეპბედა და გლხურად, ქიზიყურად უთხრა – შვილო, ე ომი საცა გათავებდა, მაგათ უშენოდ მაუგრენენ კისერსა, აქ ერთი ცალკე კაცია, ფულ თუ მისცემ, პერედავოი აკობიდან“ ამიყავს ხალხი. შენ აქა ხარ, მოდი ცოტა ფულ მიცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა...

მაგას რას ამბობ მაში (აღარ დაამთავრებინა თურმე გივი მამას სათქმელი), შენს გაზრდილს ეგ როგორ გამბედავ? მე იქ ჩემი ამხანაგები მელოდებიან, პარტიას, სტალინს აქვს ჩემი იმედო და ის ორიოდ დღე, რაც მის გამზავრებამდე იყო დარჩენილი, შვილს მამისთვის ხმა აღარ გაუცია და ასე, როგორც ქიზიყში იტყვიან, მამასთან „უმძრახათ“, წახულა ფრონტზე.

1944 წლის 4 ნოემბერს გივი ჯორჯოშვილს ვილაც გენერალი უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე. მისი თვითმფრინავი კი დივერსიის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ქიზიყელი „ლიმილის ბიჭის“ ნეშტი კლიაზმის სასაფლაოზე განისვენებს.

მისგან სახსოვრად ძია მოსეს სამხედრო ქამარი, ხოლო მამაჩემს ლამაზი ბეჭუთი დარჩა და კიდევ დეპუტები, რომელთაც გივის დაღუპვის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში აგზავნიდა გივის ფრონტელი ცოლი, ულაამაზესი ნინა სოსეკინა გივის ჩვეული „პოჩერკით“ – жив, здоров, целую гиви!“

9 მაისს, დიდ სამამულო ომში გამარჯვების მორიგ წლისთავს გილოცავთ, უწინარესად, ომის ვეტერანებს, და შემდეგ სხვებსაც, ვისაც გვერათ, რომ ის ომი დიანაც ჩვენი, დიდი სამამულო ომი იყო.

დავით მხიპია

ყვავილი ისრაფილ ჯინჭარაძის დედის საფლავზე

გამბედაობით გაგხარ გაგარინს, ცაში შეპმუსრე მტერის ჭილყავაი, ისე მაგარი, ისე მაგარი ისე მაგარი ბიჭი იყავი. ღრუბლებში ისე მედგრად იომა, რკინის ფრთოსანმა შენმა არწივმა, გაოგნებულმა გალაკტიონმა მეტაფორები გადმოგაწვიმა. სირინოზები შენთვის უკრავენ, უნდათ მოგიძღვნან ეპითალამა, შენ ჯერ სიკვდილმა გაგაუკვდა და მერე გენოსის კალამმა. შენს ნაკვალევზე მე რას ვაყვილი, მტრების ზრახვები ცაში ჩაფლავდა, და შენ მაგიერ დამაქვს ყვავილი შენი ძვირფასი დედის საფლავთან.

სოთა ზოიძა
აპრილი 2014

მწყურვალისთვისაც მიგიტანია წყალი,

10 მაისს თბილისში, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ გაიხსნება ჯანსუღ და მამუკა ჩარკვიანიანების ვარკველავი, 23 აპრილს ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანიან ახალგაზრდობის შეხვედრაზე ეს განაცხადა საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტმა დავით ოქიტაშვილმა.

ესე, რომელსაც გთავაზობთ, ამ შეხვედრის ანარეკლია.

ერთი პატარა ლექსი, რომელიც 50-იანი წლების დასაწყისში ახალგაზრდა პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანიანმა თავის მამავალ მეუღლეს ირმა ჩხეიძეს მიუძღვნა, ასე მთავრდებოდა:

**რადგან აპრილში
ის გოგოა დაბადებული...**

კითხულობდა ხოლმე ამ ლექსს (რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება) უნივერსიტეტში გამართულ პოეზიის საღამოზე ჯანსუღ ჩარკვიანი და მუდამ სტუდენტების მონონებას იმსახურებდა.

სტუდენტობის წლები შეეყვარებულა ბის პერიოდია.

აპრილი – დაბადების თვე. წლებიდანელი აპრილის თორმეტს თითქოს კვლავ დაიბადა ჯანსუღ ჩარკვიანის ბრწყინვალე პოეტური ნიმუშები, ლექსები, რომლებიც ჭეშმარიტი ლიტერატურის მოყვარულმა ახალგაზრდებმა წაიკითხეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თეატრალურ დარბაზში გამართულ შეხვედრაზე დიდ



მამუკა და ჯანსუღ ჩარკვიანიანი.

აპრილის იმ საღამოს

ყველა ლექსს, ჩანაცვლებით – ლექსების და დეკლამაციების – გოგოებისა და ბიჭების.

ბის („Вам слово, товарищ маузер!“ – მაიაკოვსკი) და აქვე – სულიერი სიღბილისა და კაცთმოყვარეობის („Вперед с кровавым флагом... / В белом венчике из роз / Впереди Иисус Христос“ – ბლოკი), ამ ორი განსხვავებული პარამონიული და ორგანული შერწყმის უიშვიათესი ლიტერატურული ფაქტია:

**ძლივს, ძლივს ამოდის
მთავარ სამოთხის,
ტყვია მიზანში
მოსასვედრია
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!**
ეს ერთი მხარე, და მეორეც მის გვერდით: „გამარჯვების დროშად აფრიალებული „დახეული ქარი“, როგორც ფილის ცრემლით ავსების მიზეზი:

**მთებზე დახეული ქარი ფრიალებს,
ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს
და გამარჯვების დროშად ფრიალებს,
და ცრემლით ვავსებ
ყველა ფიალას
და ვსვამ ბრძოლების
დიდ სადღეგრძელოს.
(„სადღეგრძელო“)**

ბრძოლის უინი და ალტკინება ცრემლით გაკეთილშობილებული. „ბეთანიის თეთრი ქარებით ავსებული დღეები, „ლურჯი ქრისტეს ტანივით“, ფასკუნჯისფერი და ქედნისფერი ფრესკის სიშორე – „ჩემი სხეულის ძველი კედლები“.

სინმინდის ამ მიუწევდომობიდან, როცა მოუნდება, მიწაზე დაგვაბრუნებს – ახალგაზრდობის დროსა და სივრცეში, რომელსაც, რაც უფრო ვცივდებით, უფრო ახლობელი ხდება.

**სანატრელი და თბილად მოსაგონარი:
ზუდ რუსთაველის დასაწყისთან,
კაფე „მეტროს“ წინ,
დაახლოებით თორმეტ საათზე,
ვიდექით ისე...
არ გვერდობდა საქმე,
ვფიქრობდი
ლუდი დაგველია.
შუადღის ქარი სულ მთლად შიშველი,
წვიმის გუბეში აბრუნებდა
ფერად ფირფიტებს
და ამღერებდა პატარა გუბებს...**

ის დღეები გაგვიცოცხლდა 2014 წლის აპრილის თორმეტს. აპრილი აღდგომის თვეა და დაბადების თვის (ეს უკვე გითხარი), და ვინმემ იმ საღამოს და იმ საათზე შემთხვევით რუსთაველის პროსპექტზე თუ გაიარეთ, აუცილებლად დაინახავდით, რომ პიონერთა სასახლიდან ახალგაზრდებთან ერთად გამოდიოდნენ ხანდაზმული ადამიანები გასხვივებული სახეებითა და წლების სიმძიმე შემსუბუქებულნი.

გამოდოდნენ და როგორც წლების წინ, უზრუნველად მიუყვებოდნენ ჩვენი ახალგაზრდობის პროსპექტს:

– მანქანით ხომ არ წამობრძანდებით?
– არა, გამადლობთ! ფეხით გავისეირნებთ.

დიდი მადლობა ამ ყველაფრისთვის ჯანსუღ ჩარკვიანს შემოქმედებითი საღამოს ორგანიზატორებს – მედიაპოლდინგ „რეპორტიორის“ ხელმძღვანელებს ნუგზარ ფოფხაძესა და გიორგი მამაცაშვილს (ესეც თაობათა უნიკალური სინთეზის ფაქტია), მასთან არსებული არტსახელოსნოს „კოლიბრის“ წევრებს, ვინც ქართული სიტყვისა და სიტყვაკაზმული მწერლობის ერთგულეობა დაამტკიცა, ვინც ხვალ უპატრონებს მაღალ ხელოვნებას. დღესაც ხომ პატრონობენ!

P. S. გასული საუკუნის დასაწყისში ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ლექსების წერის პრეტენზიის მქონე „სიტყვის ოსტატებს“ ნიშნისმოგებით მიმართა:

**А вы
ноктюрн сыграть
могли бы
на флейте водосточных
труб?**

დარწმუნებული ვარ: იმ საღამოს მუხლებში ძალაჩამდგარი თაობა, რომელმაც რუსთაველზე ისე გაიხიერა, როგორც სორეულ ახალგაზრდობაში, საქართველოში გაზრდილ დიდ რუს პოეტს უპასუხებდა, რომ ჯანსუღ ჩარკვიანიანმა შეძლო და წყალსადინარი მილების ფლეიტაზე დაუკრა ღვთაებრივი ნოქტიურნი.

რაც, მამულის სიყვარულისა არ იყოს, „განსაცვიფრებლად არის მთავარი“.

არამაზ სანუალიძე



ჭაბუა ამირაჯიბთან ერთად მოსკოვში

ქართველ პოეტთან, რომელსაც სულ ახლახან სახალხო პოეტის საპატიო სახელი მიენიჭა.

როგორც იქნა, და მადლობა ღმერთს! ვალიარებ: არ მეგონა, არ ველოდი, რომ დღევანდელ აღვირახსნილ ყოფაში გვეყავს ახალგაზრდა თაობა, რომელიც ბილწსიტყვაობის სიუხვით ყოვლი „ლიტერატურის“ უჩვეულობას კი არ მოჰყავს ალტაცებაში, არამედ ვაჟა ფშაველას დიდ ბერძენობასა და მყინვარობას:

**შატილით მოდიოდა –
დიდი მთებით.
მთვარეს შეხედებოდა
ჟინვალთან,
მთვარისოდენა ხნიკალს
მიერთმევედა –
ეს დიდი ბერძენა და
მყინვარობა.
ხელები შქონდა, –
წყაროს ამოსვლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
უგდებდა ყურს,
მერე დაჰყვებოდა,
ბალახებს დაჰკოცნიდა
და შეუკურთხებდა
ციმბირის წყლულს!
ის იყო დიდი და
ის იყო სხვა,
მისი მართალი სულის ცხონებამ,
მერე ცხოვრებას მოუჭრა გზა
და შორს გაასწრო
თვითონ ცხოვრებას.**

(„მამუკა“)

როგორ კითხულობდნენ, როგორი განცდითა და სულის ამოყოლებით! აუჰ!




ანზორ სალუჰაძემ,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
ოთარ ჭილაძე შატლიში

აშკარად ეტყობოდა (არც მალავდა), რომ ჩამოიბერტყა თავისი 80 წელიწადი და ამათი თანატოლი გახდა.

„ჩამოვიბერტყოთ ფეხზე ვით მტვერი“...
რევოლუციური შეძახილი, სიახლისკენ სვლის მონოდება, გნებავთ, ლოზუნგი.

რახან სიტყვამ მოიტანა, მანცდამანც ახლა მინდა ვთქვა, რომ იმ საღამოს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჯანსუღ ჩარკვიანის შემოქმედების ერთ განსაკუთრებულ თვისებასა და უნიკალურობაში, რასაც მხოლოდ რამდენიმე შტრიხით წარმოგიდგინებ. ფრაგმენტულად.

ამეკვიატა აზრი, რომ მისი პოეტური ქმნილებები გასული საუკუნის დიდი რევოლუციების „წითელი ღმერთების“ მონოდებათა ძლიერი რიტმის, ფოლადისებრი სიმტკიცის, არაორაზროვნე-



ჯანსუღ ჩარკვიანი ქალიწვილთან და ნოდარ ღვამაყაშთან ერთად

მშვიდობისთვისაც მიგიტანია პური...

შაბათს, 10 მაისს ფილარმონიაში პოეტს უსწინარე ვარსკვლავს... ამ სიხარულის ადრესატია ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელი პიროვნება, სახალხო პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი. 80 წელს გადაცილებული პოეტი მყუდრო ბინაში ცხოვრების განუწყვეტელ თანამგზავრთან, ქალბატონ ირმა ჩხეიძესთან ერთად, ყოველთვის ხალხის და თბილად ეგებება სტუმარს... უამრავი ნახატი, გამორჩეული ყავა და ძალი „ლინდა“ პირველივე წამებიდან სიმყუდროვეს ქმნიან. საუბარი, რომელიც პოეტის ოთახში შედგა, მამა-შვილ ჩარკვიანების ვარსკვლავის განხილვით დაიწყო.

— ჩემი და მამუკას ვარსკვლავი ერთი იქნება. მამუკამ ჩემს ლექსებზე უამრავი სიმღერა დაწერა, მაგრამ ვარსკვლავის თაობაზე მე არ ვიცოდი. ამას წინათ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩემთან შეხვედრა გააკეთა გიორგი მამაცაშვილმა, იქ გამოვიდა დავით ოქიტაშვილი და იმან თქვა, რომ ჩვენ უნდა გავსწავლოთ მამა-შვილის ვარსკვლავი, მერე მეუბნება, ბატონო ჯანსუღ, ვინაა გიორგი და 150 ლექსზე დაწერილი სიმღერა ეს იშვიათობაა. არ მიყვარს ტექსტები, რომელთაც აკეთებენ ისინი, რომლებიც აზრზე არ არიან, რა არის პოეზია და აქვთ ასეთი რითმები: „გადმოვიარე“, „ჩამოვიარე“, „ამოვიარე“... „შემოვიარე“ და...მღერა რა...
 — რაც შეეხება 10 მაისს, განსაკუთრებული საღამო იქნება. უფრო კარგი, ვიდრე ვარსკვლავის განხილვა.
 — რას ნიშნავს, გერქვას სახალხო პოეტი?
 — მე არც პატივმოყვარე კაცი ვყოფილვარ და არც ისეთი, განსაკუთრებით რომ იცინა თავისი ფასი, როცა შენს ქვეყანას ემსახურები, როცა პატრიოტული ლექსებიც გაქვს, უკან არ იხევ და იბრძვი თავისუფლებისთვის, სიყვარულისთვის, სიკეთისთვის. ამ ყველაფერს მნიშვნელობა აქვს და შეიძლება ვილატამ სახალხოც გინოდოს. ღმერთმა ხელი მოუშაროს, ვისაც ეს აზრად მოუვიდა, მაგრამ მე არ მიფიქრია არასოდეს, რომ სახალხო ვარ... მაგრამ სიხარულით გამიხარდა.

— იბრძვი, ახსენეთ... როგორი იყო ეს ბრძოლა ამდენი წლის განმავლობაში.
 — თავიდან ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი ადრე დაწერილი ლექსი მერე ჰქონდა იქცეოდა:
„ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის, ტყვია მიზანში მოსახვედრია, თავისუფლება ისე არ მოდის, თავისუფლება ლომთა ხვედრია“.
 40 წლის წინ დაწერილი ლექსია. მაშინ ხელისუფლებამ არ იცოდა, რა ტყვია რა მიზანში უნდა ყოფილიყო მოსახვედრი, და რომ თავისუფლება მართლა ლომთა ხვედრია...
 — როგორ დაინერა ეს ტექსტი, რა ისტორია ჰქონდა?
 — არავითარი ისტორია არ ჰქონია. სულ ვფიქრობდი, რომ შენი ქვეყანა თავისუფალი უნდა იყოს, რომ ამოისუნთქო, რომ უფლება გქონდეს შენს ქვეყანას ქვეყანა ენოდოს, ნამდვილი ერი იყოს. მაშინ საოცარი ცენზურა იყო, მაგრამ შენ თუ უკან არ იხევდი და ვაჟკაცობდი, ისინი იხვედნენ უკან. ეს ფაქტია. როცა იმდროინდელ ლექსებს ვიგონებ, ძალიან ვაჟკაცურად ვამბობდი სათქმელს, მე არ მეშინოდა.

— თუმცა, დღეს ზოგიერთი ახალთაბული პოეტი სკვებიკურად უყურებს მაშინდელ პერიოდს და დასძენს, რომ თავისუფლება მხოლოდ 90-იანი წლების შემდეგ დაიწყო, რაზეც გვინდა იმაზე გწერთო...
 — 60-70-იანი წლები საოცარი დრო იყო... რომ ჩამოვთვალოთ, იმდენი გამორჩეული მწერალი გვაყვდა... ქართველს აქვს საოცარი ნათქვამი, გიჟი თავისუფალიაო. შენ თუ ისეთი თავისუფლება გინდა, რომ გიჟი იყო, მაშინ სხვა საქმეა. თავისუფლება ის არ არის, — დედაჩემის ის იმის მამის იმას ჰგავს, — ესენი რაღაც სისულელეებს წერენ და ამ უბედურებას კითხულობენ. ეგ არ არის თავისუფლება?
 — ერთხელ ამერიკაში, ვაშინგტონში ვარ და ერთი გერმანიიდან ჩამოსული ქართველი ებრაელი ჟურნალისტი ტელევიზიით მეკითხება, ამერიკაში ყველაზე მეტად რა მოგწონათო. მე ვუთხარი, თუ შეიძლება გითხრათ, რა არ მომეწონა? — მეთქი? რაო, გაოცდა, როგორ თუ ამერიკაში რაღაც არ მომეწონა... თავისუფლება, დემოკრატია არ მომეწონა? — მეთქი, რატომო, გაოცებული მიყურებდა, მე ვუთხარი, ჩვენთან არის მდინარე არაგვი, მოჰქუხს, მოგრიალებს და მოღრიალებს, საოცრება რა? — მეთქი, მოდის და მოდის. ერთხელ აინყვიტა და დანგრიდა, წაიღო გლეხის სახლ-კარი, სათესი, სახნავი, ყველაფერი წაიღო. აი,

ესაა თქვენი თავისუფლება. თავისუფლებას თავისი ზღვარი უნდა ჰქონდეს. არ შეიძლება ასე — რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. იმიტომ ვთქვი, რომ ქართველი კაცი კარგად ამბობს, გიჟი თავისუფალიაო. ასეთი თავისუფლება არ შეიძლება, შენს ნორმაში უნდა იყოს.
 — მაშინ, იმ ენ. ავად სახსენებელ საბჭოთა პერიოდში ეპოქალური ნაწარმოებები შეიქმნა, დღეს ამ თვალსაზრისით რა ვითარებაა?
 — ვცდილობ, გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ ყველას კარგი რაღაცა დავუბეჭდო, მე თავად ვკითხულობ მათ ნაწარმოებებს და ასეთ რაღაცას ვერ ვხედავ. საერთოდ, მწერლობა რა არის? მარტო ნიჭიერება? არა, ნიჭიერებაცაა... ნიჭმა თავისი ფასი დაკარგა. იმ დროს მარტო ჩემი ნიჭები რომ ვინაგარიშო, 10, 20... 50 და, შენ წარმოიდგინე, 70-ათასიანი ტირაჟითაც გამოსულა. ახლა კი მხოლოდ 300 ცალი იბეჭდება. ეს მარტო იმის ბრალი არ არის, რომ შენ ადრე ნიჭის ფული გქონდა და ახლა აღარ გაქვს. არა, ნიჭიერება დაიკარგა, ნიჭს კომპიუტერთან გართობა, თამაშები ჩაენაცვლა, იქ რაღაცებს გეუბლებ, მაგრამ ნიჭი მაინც სულ სხვა რამეა. შეიძლება ნიჭიერი არ იყო და ჭაბუა ამირეჯიბი გახდეს? ნიჭიერი არ იყო და ნოდარ დუმბაძე გახდეს? ეგრე არ არის საქმე, ყველას თავის უფლება აქვს ამ ქვეყანაზე, მაგრამ განათლება უნდა ჰქონდეს კაცს. ჩემს დროს ყველაფერს ვკითხულობდი.
 — საზოგადოების აზრი რადაც გაიყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით...
 — კანონში ვერ ვიპოვე, რომ უნდა დავაკანონოთ ესა და ეს. ასეთი რამე არ წერია, მაგრამ ცოტა ზედმეტი რომ არის, რა თქმა უნდა. მერე ვილატ გამოდის და ასეთი პიროვნება არ უნდა

„მე არ მეშინოდა“
 ნოდარ დუმბაძესთან ერთად
 იყოს საბავშვო ბაღში, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს. ასეთი პიროვნება არ უნდა იყოს პარლამენტში, ჯარში... იქ რაღაც სამსახურებია ჩამოთვლილი. მაინცდამაინც ოპერისა და ბალეტის თეატრში უნდა იყოს? რუსთაველის თეატრში არ შეიძლება და ოპერისა და ბალეტის თეატრში შეიძლება? ამას ფორმა უნდა მოუწახვოს და შენ თუ ამას იმიტომ აკეთებ, რომ ევროპას გინდა კოჭი გაუგორო, ეგაა გვაკლია. ამ დროს მე ვამბობ ერთ წინადადებას, ვენიხალმდებები იმიტომ, რომ ეს უბედურება არის უფლის წინააღმდეგ ქმედება. რატომ? იმიტომ, რომ უფალმა შექმნა ადამი და ევა, და არა ადამი და ადამი. და არა ევა და ევა. შეილს დედა მამად როგორ უნდა ჰყავდეს?
 ჩემს დროს ჩემს საყვარელ თბილისში 4 „პიდარასტი“ დადიოდა და მთელმა საქართველომ იცოდა. 2 ათასი არ იქნებოდა? ეშინოდათ, ამაშია საქმე. ამის გრძობა უნდა დარჩეთ. ეს არის უბედურება. მე პირიქით, როცა ამას ენიხალმდებება უწმინდესი და უნეტარესი და მისი მრველი, მე მაგათ ვეშხრობი.
 — თქვენი საოჯახო ალბომი თქვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, ძალიან მრავალფეროვანია. რა განსხვავებაა ახლა?
 — პირველი ჩემი ლექსები გიორგი ლეონიძეს წააკითხეს, მისმა სიძემ მიუტანა. მე ჩანანური მაქვს არქივში, ჩემს ლექსებს აწერია: „კარგი ხარ, ჯანსუღ, ჩემი ჯილა ხარ! გოგლა“.
 ლეონიძესთან დაკავშირებით უამრავი კარგი რამე მახსოვს. ერთხელ პურსა ვჭამოთ კახეთში და გოგლა ლეონიძის გაუნყვეს პურმარილი, აქეთ ჩვენ რამდენიმე ახალგაზრდა ვსხედვართ, იქ არიან არაკლი აბაშიძე, სხვები... უცებ ძია გოგლა მოვიდა, ორი ვებებრთელა მწვადი მოგვიტანა შამფურით და დაგვიდო; მე ვუთხარი, ძია გოგლა, ჩვენც მოვიტანე მწვადები-მეთქი. ბიჭო, განა ეგეც ირმისააო? იქ ირმის მიუტანიათ. აიღო და წამოიღო. საოცარი ურთიერთობები გვექონდა ერთმანეთთან. ხანდახან ხალხს ვუბნებენ ხოლმე, გალაკტიონი გალაკტიონიო, რომ გაიძახით, გაიგეთ, გიორგი ლეონიძე ვინა არის-მეთქი: „მოდი, გეძახი ათას წლის მერე, დამნაცროს ელვამ შენი ტანისა, ვარდისფერცლობის წიშანი არის და დრო ახალი პე-მანისა“...
 თურმე არ შეიძლება ორი ან სამი გყავდეს, არა, ერთის სურვილი აქვთ. ერთხელ გალაკტიონი მხედდა მწერალთა კავშირთან და მეუბნება, ჯანსუღ, აქ მოდიო. აბა, ახლა შენ მითხარი, ვინ არის საქართველოში პირველი პოეტიო. მე ვუთხარი, გიორგი



ჯანსუღ ჩარკვიანი

ლეონიძე-მეთქი, რატომო, კაცო? ძია გოგლა შემხვდა და იმან მითხრა, ვინ არის საქართველოში პირველი პოეტიო, და მე ვუთხარი, გალაკტიონი-მეთქი. ჰოო, — ჩაფიქრდა, — ორი კმარა, მესამე აღარა თქვაო. საოცარი რაღაცაა, ქართველი კაცს არ უნდა ორი დიდი ადამიანი. მას მაინცდამაინც ერთი უნდა, ასე არ არის საქმე. თუ ორი გყავს, ორი თქვი, სამი გყავს, სამი თქვი.
 ჭაბუა ამირეჯიბი მოვიდა „ცისკარში“, მომიტანა „დათა თუ-თაშისა“ და მითხრა: ჯანსუღ, ამას შენ ვერ დაბეჭდავ, ვერა-ვინ ვერ დაბეჭდავს, მაგრამ მოვიტანე, რომ შენ წაიკითხო, შენს მეუღლეს ირმას წააკითხო და მაინცტერყებს თქვენი აზრიო; წავიკითხე და ერთი კვირის მერე დავუძახე, ჭაბუა, მოდი, საქმე მაქვს, ამას ვბეჭდავ, სტრიქონს არ ამოვიღებ, ისე გამოვაქვეყნებ-მეთქი. აუ, ბიჭო, რას მეუბნები, როგორ გეკადრება, ვინ ჭამს მაგას, ამა-ინარა ილიაში და მიაქვს. დავუძახე: მოდი, ჭაბუა, გენაცვალე, ნაღდად ვბეჭდავ, მარტო ვბეჭდავ კი არა, სეთურის სოფელი, ციხის ამბები უფრო გაამძაფრე, იმიტომ რომ აქეთ-იქთ გაქცევა-გამოქცევაში 85 წელი გაქვს მისჯილი და 18 მოიხადე. შენ მაშინ უფრო დაგიჯერებენ, როცა ამას გაამძაფრებ-მეთქი. წავიდა მართლა, გაამძაფრა, ახლიდან დავანერინე ეს ყველაფერი, მაგრამ ქართველ კაცს აქვს იმის სურვილი, რომ ამხელა მწერალი გყავდეს ამ ქვეყანაზე? ესე იგი, ჭაბუას ვი-ლატამ დაუწერა და აჩუქა? ქართველი კაცი არის ამის მსუქე-ბელი? რაღაც უბედურება იყო ქვეყანაზე, კაცი იყო გაოგნებული. მაგრამ უძლებდა ამდენ რაღაცას და ამ უბედურებასაც.
 მახსენდება გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვალი პატიოსანი“. სხვათა შორის, ჩემი დარქმეული სახელია, მაგას ერქვა „მარჯვენა და მარცხენი“. მე ვუთხარი, მოდი, ხალხს პატიოსანი თვალით დახახული ქვეყანა ვაჩვენოთ-მეთქი. ძალიან გაიმარჯვა ამ სათაურმა. ეს რომ უნდა დავბეჭდო, შევარდნამ არის შინაგან საქმეთა მინისტრი, დაეურეკე და ვუთხარი, ერთი რაღაც მინდა მოგიტანო, წაიკითხე-მეთქი, მივუტანე ფანჯიკიძის რომანი. წაიკითხე, ეს აუცილებლად უნდა დავბეჭდო და ვიცი, რომ დამიჭერენ-მეთქი. მერე დღეს დამირეკა, ჯანსუღ, წავიკითხე, ძალიან კარგია. ვიცი, რომ დაგიჭერენ, მაგრამ ოჯახის მოვლა ჩემზე იყოსო.

საოცარი ურთიერთობა მქონდა ირაკლი აბაშიძესთან. ძმები-ვით ვიყავით ერთმანეთთან... ჩვენს შორის განსხვავება 20 წელი იყო... მამაშვილურად ვიყავით. საოცარი იუმორის გრძობა ჰქონდა. პირველად უღვაშები რომ გავუშვი, მინდა, რომ პირველად იმას ვაჩვენო. გაშვებული უღვაში მაქვს, მივედი და ვუთხარი, ბატონო ირაკლი, უნდა ვაჩვენო, ჩემი უღვაში როგორ მოეწონს-მეთქი. ჯანსუღია შავო... ასე მეძახდა, უღვაში უბედურება რამეა, თუ მოუშვი, მიიიიიი და მიდის...,, ციხროდა.
 მე და ნოდარ დუმბაძე დავყავადით ხოლმე ძალიან ხშირად შეხვედრებზე. იუმორი და სიკეთე, სიყვარული იყო.
 ერთი ბიჭი მოვიდა ჩემთან, მოთხრობები მომიტანა, გვარად დუმბაძე იყო. თვითონ მოთხრობები ძალიან ჰგავდა ნოდარის შემოქმედებას. მწერალთა კავშირში ვარ, მე პირველი მდივანი ვარ, ნოდარი თავმჯდომარეა. ვიფიქრე, შევალ ნოდართან, იმას შევუტან... შევუტანე ნოდარს და ვუთხარი, აბა ერთი წაიკითხე-მეთქი. გადახედა-გადმოხედა, წაიკითხა და ჰკითხა, რა გვანიხარო? დუმბაძეო. ყველაფერში თუ მბაძე, ქე იქნები დუმბაძეო...
 — გული გწყდებათ, რომ საქართველო ჩაშვებებმა დაღუპა?
 — განა ციხე შეგნიდან არ ტყდება ყველაგან? ჩვენ ეროვნულობაში უბედურებიც ვართ, რომელ ერს უნდა ჰყოლოდა ილია, რომ მოეკლა? იმიტომ კი არა, რომ სტალინელი ვარ. შენ რომ სტალინის ძეგლს მოხსნი გორში და თბილისში ალიფისას დადგამ, შენი დედა ვატირე რა, თორემ ისე, მე ვენაცვალე ალიფეს, ვიცნობდი და ჯიგარი კაცი იყო, მაგრამ ვერ გავიგე, რაშია საქმე?
 ერთმა დეგენერატმა პარლამენტში ისიც თქვა, ჰიტლერი და სტალინი ორივე ერთიაო. ჩერჩილმა თქვა, სტალინიმ გადა-არჩინა მსოფლიო პიტლერისაგანო. ნუ შეადარებთ მაინც ერთმანეთს და ნაპოლეონს რომ ექცევა ფრანგი, ასე მოექცევი შენ სტალინს. თქვი მისი დიქტატორობის გამო, ყველაფერი თქვი, მაგრამ მე არ მიკვირს: „ვარდის გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა იასა“... მაგრამ „ზამბახსაც გაღვიძებოდა და თავს უხრდა ნიაგას“, — მიკვირს. იმიტომ რომ ეს არის საოცრება, ვა-ვა-ვა შევადგა, გალაკტიონ ტაბიძეა, აკაკი წერეთელია. სხვა-ნაირი ნათქვამია, ამდენად, სულ ვეძებ ადამიანში სიკეთეს და კარგს. იპოვე და ისიც თქვი და ისიც. მოსასპობად არაფერი არ ვარგა.



ჯანსუღ ჩარკვიანი შვილიშვილებთან ერთად

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ორი ქვეყანა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალყურს უკრაინის სახელმწიფოს დაშლას და მოსკოვის უკრაინის სახელმწიფო კრიზისის გამწვავებას. ესენი არიან მოლდოვა და საქართველო, რომლებმაც გადაწყვიტეს, დაუახლოვდნენ ევროკავშირს და განეციტონ რუსეთთან წარსულში დამაკავშირებელი უკავშირები. მისის პარიზში მყოფი საქართველოს პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი გვესაუბრა მისი ქვეყნის შიშზე რუსეთის ახალი საგარეო-პოლიტიკური კურსის გამო უახლოეს საზღვარგარეთ.

ჩვენი გაზეთი: თქვენ ჩამოხვედით პარიზში მოლდოვიდან, რომელიც, როგორც საქართველო, განიცდის დიდ შეშფოთებას გამწვავებული უკრაინის კრიზისის გამო...

დავით უსუფაშვილი: ჩვენი ქვეყნების ბედი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მოლდოვა და საქართველო — ესენი არიან ერთადერთები ევროკავშირის აღმოსავლური პარტნიორობის პროგრამის ექვსი ქვეყნიდან, რომლებიც წინ მიიწვევენ და აპირებენ, ხელი მოაწერონ შეთანხმებას ასიგნაციის შესახებ. მაგრამ რუსეთის ხელისუფლება ცდილობს, ხელი შეუშალოს ამ საქმეში ყველა მეზობელ სახელმწიფოს. ამიტომ უკრაინაში მოვლენების განვითარება ჩვენში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს.

მოლდოვას კვლავინდებურად უწევს, ჰქონდეს საქმე არამყარ სიტუაციასთან დნესტრისპირეთში. მან არ იცის, რა და როდის ელოდება მას. ჩვენს შემთხვევაში რუსეთმა უკვე გაითამაშა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის კარტები. საქართველოში არ არის მასობრივი სახალხო მოძრაობა ევროკავშირის წინააღმდეგ. უკანასკნელი გამოკითხვის მონაცემებით, ხალხის ნაწილი უკმაყოფილოა ევროპული ინტეგრაციის მხარდასაჭერად, მაშინ, როდესაც ევრაზიულ კავშირს მხარს უჭერს მხოლოდ 16 პროცენტით.

— როგორც უნდა იყოს, საზოგადოებრივ სივრცეში შეიმჩნევა ძალიან ზემოქმედება, რომელიც არცთუ ისე კარგად უყურებს ევროკავშირთან ურთიერთობას, მაგალითად, გაგლენიანი მართლმადიდებელი ეკლესია...

— საკითხი უმთავრესად შეეხება პრორუსულ არაკომერციული ორგანიზაციების წრეებს, რომლებიც გამოთქვამენ ეჭვს საქართველოს ნატოსთან დაახლოების საქმესთან დაკავშირებით. თბილისში პუშკინის მოედანზე შეიკრიბა რამდენიმე ათეული დემონსტრანტი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ჩვენ უნდა შევუვრდეთ რუსეთს, რომ ნატო მიგვატოვებს. მიუხედავად ამისა, პარლამენტში წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალა მხარს უჭერს ევროპულ ინტეგრაციას და მოძრაობას ნატოსკენ. ეკლესია კი — ეს არის გავლენით მეორე მოქმედი პირი სახელმწიფო უწყებების შემდეგ. საუბარი იმის შესახებ, რომ იგი ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგია, შეცდომა იქნებოდა. მისი ლიდერები და თავად პატრიარქიც მიიჩნევენ, რომ ევროპული კულტურა ახლოა ჩვენს კულტურასთან.

ამავე დროს საჭიროა, აღინიშნოს გულწრფელი შეშფოთება ახალ პრობლემასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების სფეროში. კერძოდ, ეს შეეხება ერთსქესიან ქორწინებებს და ყოველივე იმას, რაც შეიძლება გახდეს პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით. ეკლესია ცდილობს, შეინარჩუნოს საზოგადოების ზნეობრივი სახე, და ამიტომ წინააღმდეგობა მისი მხრიდან ამოსაცნობი იყო. ქართველების 90 პროცენტზე მეტი ამბობს, რომ პატრიარქი მათ თვალში ყველაზე მეტი ნდობით სარგებლობს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ რუსეთმა უკვე გაითამაშა კარტი სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით, მაგრამ განა იგი კიდევ უფრო წინ აღდარ წავა?

— ამ რესპუბლიკების ანექსიის გამორიცხვა მართლაც არ შეიძლება. მაგრამ აფხაზეთთან დაკავშირებით ეს ნაკლებ სავარაუდოა: რუსეთი გადაეყრებოდა აფხაზეთის გამწვავებულ დაპირისპირებას, ვისთვისაც 2008 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობა საბოლოო იყო. სამხრეთ ოსეთი კი ყველაფერი ტაქტიკური სვლა იყო. რუსეთის შეუჭრია, კვლავ აამოქმედოს ეს კარტები, ვინაიდან ოსეთი მისთვის ერთგვარი დიდი სამხედრო ბაზაა. რესპუბლიკაში რეფერენდუმის მოწყობა რუსეთთან შეერთების შესახებ იქნებოდა საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მოსკოვის მასშტაბური ოპერაცია. მაგრამ უკრაინაში გამწვავებული კომპლექტის ფონზე ეჭვი ეპარება, რომ მას ამისთვის ჰქონდეს სათანადო შესაძლებლობა. იმედი მაქვს, რომ საერთაშორისო ზემოქმედება და საქართველოს მთავრობის განხილვის ნორმატიული პოლიტიკა

შეძლებს, თავიდან ავიცილოთ ეს სცენარი.

არ ვფიქრობ, რომ რუსეთში ხედავდნენ მოვლენების განვითარებას უკრაინაში. მოსკოვის სურდა, შეენარჩუნებინა ქვეყანა გავლენის სფეროდ იანუკოვიჩის დახმარებით, და არა უკრაინის სახელმწიფოს დაშლა. მან გარკვეულად ვერ შეაფასა მაიდანის სიმტკიცე და სიჯიუტე. დღეს ყველაზე მისადაგებული სიტყვა სიტუაციის აღსაწერად — ეს არის „გაურკვევლობა“. მართვაში იმდენი უცნობი და ცვალებადი რამაა, რომ რაიმე პროგნოზის გაკეთება უბრალოდ შეუძლებელია. მაგრამ ეს მხოლოდ ხაზგასმით მიუთითებს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების მნიშვნელობას: ევროპული ინტეგრაცია და ნატოსთან დაახლოება უმოკლეს ვადებში.

მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა გვახსოვდეს 2008 წლის გაკვეთილები: ნატოს სამიტი ბუქარესტში და ომი რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენ



ვცდილობთ, არ გავიმეოროთ ეს, თავიდან ავიცილოთ არასაჭირო მსხვერპლი და გაუმართლებელი რისკი.

— ამ ცოტა ხნის წინათ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ვაშინგტონში მიმართა თხოვნით, განათავსოს საქართველოში ნატოს ძალები. განა ეს „გაუმართლებელი არ არის“?

— საკითხი შეეხებოდა იმას, რომ ხაზი გაგვეხა ჩვენი ხანგრძლივი მიზნისთვის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. არა მგონია, რომ მას სხვა მიზნად აქონდა მხედველობაში. ჩვენ მეტად მოხარული ვიქნებოდით, თუ ხვალ დილიდანვე შეგვატყობინებდნენ, რომ მიგვიღეს. აღიანის გაფართოება სასარგებლო იქნებოდა საქართველოსთვისაც და ნატოსთვისაც, მაგრამ ეს არ უნდა აღვიქვათ, როგორც ომის გამოცხადება რუსეთისთვის.

— მაგრამ თქვენ ხომ იცით, როგორ ზიზღს განიცდის მოსკოვი ნატოსადმი, პარანოსის ზღაპრზე...

— პარანოი განეკუთვნება ბევრ რამეს, და არა მხოლოდ ნატოსადმი დამოკიდებულებას. იგი მიზნად ისახავს ყოველივეს, რაც ხელს უშლის რუსეთს, დაამკვიდროს თავისი კონტროლი პოსტსტაბჭოთა სივრცეში, იქნება ეს ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი, ვილაციის ნეიტრალიტეტი და ა.შ.

— როგორ აფასებთ რუსეთის ლიდერების ნაციონალისტური განწყობილების ამალგებას უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში?

— ძველმა რუსეთმა გაიღვიძა: ვერ გავიგვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი: რუსეთის ხელმძღვანელობა და მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ძლიერი რუსეთი — ეს დიდი რუსეთია. ასე გამოიყურება განვითარების კონცეფცია. იგი მიიჩნევს, რომ რუსეთი საკმაოდ ძლიერია გაფართოებისთვის, თავისი საზღვრების წინ წაწევისთვის. ეს ლოგიკურია, თუ მხედველობაში მივიღებთ პოლიტიკას 2000 წლიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა პუტინი თავის მომხრეებთან ერთად. მათთვის XX საუკუნის ყველაზე დიდი გეოპოლიტიკური კატასტროფა იყო საბჭოთა კავშირის დაშლა, და არა მეორე მსოფლიო ომი ან ბოლშევიზმი.

ეს ყოველივე პრობლემებს ქმნის არა მხოლოდ საქართველოსთვის, უკრაინისა და სომხეთისთვის, არამედ ევროპული კავშირის-

თვისაც. რუსეთის ჩარევა უკრაინის ბედში — ეს არის დარტყმა ევროკავშირზე. ევროკავშირი რომ მართლაც ერთიანი იყოს, რუსეთს გაუჩნდებოდა სერიოზული მეტოქე. თუ ევროკავშირი დაიშლება ნაწილებად, რუსეთმა იცის, თუ როგორ უნდა იმოქმედოს, ყოველ სახელმწიფოსთან ცალკეულად, საფრანგეთთან თუ ლიტვასთან. ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ შესანიშნავად მუშაობს რუსეთის პროპაგანდა. არსებობს საკმაოდ პოპულარული თვალსაზრისი რუსეთთან თანაარსებობის შეუძლებლობის შესახებ, რაც დამახასიათებელია, უწინარეს ყოველისა, მათთვის, ვინც ვხედავთ განწყობილი ევროკავშირის წევრების გაფართოებასთან დაკავშირებით. სახელმწიფოს ასეთ წარმოდგენაში — აღმოსავლეთისკენ ევროპული საზღვრებიდან — არის ველური სივრცე, სადაც ანკომუნისტური უნდობის დისციპლინის შეუჩვეველი ხალხები. და რუსეთს სჭირდება, იზრუნოს მათთვის. სანაცვლოდ რუსეთი იძლევა რესურსების მიწოდების გარანტიას და ხსნის შესაძლებლობებს ბიზნესის წარმოებისთვის.

— ახლა, თუ შეიძლება, რამდენიმე სიტყვა საშინოო სიტუაციის შესახებ საქართველოში. არის სერიოზული ეჭვები პოლიტიკურ და სასამართლო ვენდების მიხედვით დაკავშირებით ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაღალი რანგის წარმომადგენლების წინააღმდეგ...

— ნელინა დანახვირის განმავლობაში ჩვენ ვერ შევძელით ამ პრობლემის გადაწყვეტა. ქართველები მოხარული იქნებოდნენ, დაწყებული გამოძიებით რომ ეფექტიანად წარმართულიყო, თუ ბრალდებულები პასუხისმგებელი იქნებოდნენ სასამართლოს წინაშე. მაგრამ ყოველივე ამან წარმოშვა არასაჭირო ხმაური როგორც თავად საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ერთმა გამოძიებამ წარმოშვა მეორე. დღეს არანაირი ეჭვი არ არსებობს იმიტომ, რომ სისტემური პრობლემები (საკაშვილის პრეზიდენტობის დროს) არსებობდა არა მხოლოდ ციხეებში, არამედ სხვა სფეროებშიც. ეს შეეხება იმ აქტივების გადართობას, რომლებიც მიიღეს მეგობრებმა ხელსაყრელი კონტრაქტებით, საბიუჯეტო რესურსების გამოყენება. ავიღოთ, თუნდაც, ბრალდებები თბილისის მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ. საკითხი შეეხება 30 მილიონ დოლარს, რომელიც 2012 წლის პარლამენტის არჩევნებამდე 3-4 თვის განმავლობაში ამოიღეს საქალაქო ბიუჯეტიდან. მერი იყო მეორე თუ მესამე პირი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაში“.

— მაგრამ მოთხოვნა, რომ სააკაშვილმა მისცეს ჩვენება, ხომ არ უბიძგებს იდეებს შურისძიების შესახებ სასამართლოს მეშვეობით?

— სააკაშვილი გამოიძახეს მოწმედ. თავად მას ბრალს არაფერში სდებენ, მის წინააღმდეგ არ დანაშაულებულია გამოძიება. პროკურატურაში სურთ, რომ მან მისცეს ჩვენებები რამდენიმე საქმესთან დაკავშირებით. მაგრამ სააკაშვილმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა და ხალხმა უმაღლეს დიანგარიშს, რომ ეს ყოველივე მის წინააღმდეგაა მიმართული. არავის არ მოსდის თავში, რომ ის შეიძლება იყოს უდანაშაულო მოწმე. ეს შეეხება, მაგალითად, ყოფილი ბანკირის სანდრო გირგვლიანის გარდაცვალებას 2006 წელს, რომლის შესახებაც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო მკაცრად საუბრობს საქართველოს მოქმედებების შესახებ. სააკაშვილმა კი მაშინ მკვლელების ამინსტია გამოაცხადა.

— როგორ აფასებთ მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის გაგლენას პრემიერ-მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ?

— ზუსტად ერთი წლის წინათ მან განაცხადა, რომ ნავა პრემიერის არჩევნების შემდეგ უკანასკნელ დღემდე ვცდილობდი, დამერწმუნებინა იგი, უარი ეთქვა ამაზე, ვინაიდან იგი ჩვენ გვჭირდება. უიმისოდ ძნელი იქნებოდა წარმოგვედგინა კოალიცია „ქართული ოცნების“ მომავალი, რომელიც ექვსმა პარტიამ ჩამოაყალიბა.

მისი წასვლის შემდეგ ჩვენ გვაქვს კონტაქტები. მე არაერთგზის შევხვედრივარ მას, ვსაუბრობდით ერთხელ-ორჯერ თვეში, ზოგჯერ მას მივმართავ რჩევებისთვის, ზოგჯერ კი იგი კონსულტაციას აწარმოებს ჩემთან თავისი არაკომერციული ორგანიზაციის გამო. მან თქვა, რომ განბილებულია ახალი პრემიერდენტით. მაგრამ იგი გახდა სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი სწორედ სიტყვის თავისუფლებისთვის. ყველაფერი, რასაც ის აკეთებდა, იყო არაჩვეულებრივი და გასაოცარი. მას სურს, მოამზადოს მოქალაქეები უფრო აქტიური როლისთვის ქვეყნის ცხოვრებაში.

Le Monde.fr

დედაშიშის ზურგზე



აშშ-ის მთავრობა სასამართლო სისტემის, განსაკუთრებით პარკინსონის რუსული სარაკეტო კრამპის რღ-100 შესწიფვაზე

ერთი კვირის წინათ მოსამართლემ სიუზან ბრეიდენმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება იმის საფუძველზე, რომ კრამპის შესწიფვა თითქმის არაფერს ამერიკის შეერთებული შტატების სანქციებს, რომლებიც შემოღებული იქნა რუსეთის წინააღმდეგ უკრაინისთან დაკავშირებული სიტუაციის გამო. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აზრით, სასამართლოში საქმის განხილვის ნამდვილი მიზეზი გახდა სულაც არა პოლიტიკა, არამედ საკონკურენტო ბრძოლა თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზადაა დიპლომატიის პარტისტის მიმართებათა შესახებ საზოგადოებრივად განაცხადოს, თუმცა, არ ისაუბრებს პოლიტიკაზე



ამ დროს პრემიერმა არსენი იაცენიუკმა კიდევ ერთხელ გამოთქვა დაბრუნება ამინსტიის შესახებ მათთვის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს. პრორუსულმა დემონსტრანტებმა განაცხადეს, რომ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებაში, თუმცა, ეჭვი ეპარებათ ამ მოლაპარაკების შედეგანობაში. ამ დროს უკრაინის აღმოსავლეთში შენარჩუნებულია დაძაბული სიტუაცია.

სამხრეთ კორეაში დაბატიმრის იმ კომპანიის ხელმძღვანელი, რომელსაც ჩაპირული ბორანი „სამილი“ ეპოვნენ



კომპანია „ნონჩეინის“ დირექტორი კიმ ნან-სიკი დაბატიმრეს საკუთარ სახლში ქალაქ უნდაში სეულიდან სამხრეთით და მიიყვანეს დაკითხვაზე. მას ბრალი ედება მკვლელობებში გაუფრთხილებლობით, აგრეთვე იმაში, რომ მისმა მოქმედებებმა გამოიწვიეს სომალდის დაღუპვა.

საუბელ გლომარს ათი წლის ციხე და მათხანის ათასი დარტყმა მიუსაჯის

რაიგ ბადავი 2012 წელს დაბატიმრეს. შარშან ივნისში ის დამნაშავედ ცნეს ისლამის შეურაცხყოფაში და მიუსაჯეს 7 წლის პატიმრობა და მათხანის 600 დარტყმა. მისმა ადვოკატმა განაჩინა გააპროტესტა, მაგრამ საქმე კიდევ უფრო გამწვავდა: სასამართლომ მისცა რეკომენდაცია, მოხდეს ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა უფრო რთული — „რწმენის დაღვაწი“.



⊗ უცხოური კლასიკა – ძარტულად

ლუის დე კამონენსი – ჩვენი პორტუგალიელი ქომაგი

ნაშბ თუ სჯეროდა ლუის დე კამონენსი პორტუგალიელთა და ქართველთა ისტორიული ნათესაობის ლეგენდა?

ლუის დე კამონენსი ეს გადმოცემა ქართველ ბერ იოანეს, აღარც მონინდომებდა ესპანეთის ნახევარკუნძულისაკენ გამგზავრებას იბერიელთა უძველესი ტომების შთამომავალთა, ანუ ჩვენს ისტორიულ ნათესავთა მოსანახულებლად და გასაცნობად ათონის ივერთა მონასტერში ბერად შემდგარი მთავარსარდლის თორნიკე ერისთავის გარდაცვალების შემდგომ.

– განიზრახა ნეტარმან მამამან ჩვენმან იოვანე, რაითა აღილოს მე თვისი და რავდენიმე მონაფენი და ივლტოდეს სპანიადა... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველნი არამცირდენი ნათესავნი და ერნი მკვიდრნი არიან მუნ.

ჩაიშლებოდა ეს განზრახვა და ნამოწყება. და დარჩებოდა მარტოდენ სხონადა, ბიოგრაფოსის – გიორგი მთაწმიდელის – მიერ შემონახულ ცნობად („იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“).

სიოვანად და ცნობად ხომ მაინც, რათა საუკუნეებს გამოჰყოლოდა და კვლავ და კვლავ შევეგულებინებოთ იმ ძველთაძველი სამყაროს ბილიკებზე შესადგომად – ხილულად თუ უხილავად. ისე ნეტა კამონენსსაც თუ სჯეროდა?

ეგებ მასაც უღვიოდა გულში ეს წადილი, დადგომოდა გზას აქეთ, იბერიელთა მეორე შტოს სამკვიდროსაკენ, კავკასიას რომ შემოხიზნოდა და აქ იქცევადა სულს და ინარჩუნებდა თვითმყოფადობას ყოველგნით ხელაღუპრობელ სინამდვილეში, ჩასანთქმელად რომ დაღირვოდა მუსულმანური სამყარო.

ასეა თუ ისე, შორიდან თანაუგრძობდა, და არამცთუ თანაუგრძობდა, მოითხოვდა კიდევ ვეროპის სახელმწიფოთაგან ქართველთა თანადგომისათვის თავგამოდებას, ხელის გამოღებასა და რიდაცთუ შველას, მთლად თუ ვერ დაგვიფარავდნენ.

მოითხოვდა ეპიკურ ქმნილებაში „ლუზიადები“, 1572 წელს რომ მოველინებოდა პორტუგალიასაც და მთელ დასავლეთსაც, როგორც მხატვრული აზროვნების კიდევ ერთი სწორუპოვარი ნიმუში და რენესანსული ეპოქის გვირგვინთაგანი, იმ დიდებულ სახელთა გვერდით რომ უნდა მოეყოლებინა ადგილი კამონენსს, ოცნებით რასაც შესცქეროდა და მონადინებულყო მისი პოემაც იმათ ეპოსთა წრეში მოეხსენიებინათ – ჰომეროსის „ოდისეა“ იქნებოდა თუ ვერგილიუსის „ენეიდა“.

მათთან გაემართა იდუმალად „მუშაირა“, რაკილა „ლუზიადები“ სამოგზაურო ჟანრის ნიმუშად ჩაეფიქრებინა, რათა ინდოეთისაკენ ვასკო და გამას საზღვაო ექსპედიციის ფონზე წარმოესახა პორტუგალიის, ანუ თავდაპირველი ლუზიტანიის – ისტორიაც და სვებედიც.

ლუზიტანიის იბერიული მოდგმის ტომები შეადგენდნენ? მაშ კამონენსს სხვა მოვალეობა დაჰკისრებოდა ქართველთა წინაშე, თუნდ არც ერწმუნა ლეგენდარულ საბურველში გახვეული გადმოცემა. პოეტური გულში თავისას შთაგონებდა და არამარტო ხშირად ასხენებდა პოემაშიც და სონეტებშიც კოლხიდასაც, ფაზისსაც, მედეასა და არგონავტების ლაშქრობასაც, „ლუზიადების“ მეშვიდე თავში სულაც მკაცრად დაამუნათებდა ვეროპის

სიკლიდან „დროის იარაღი“

სახელმწიფოთა წინამძღოლებს, მათ, ვისაც შეეძლოთ მეტ-ნაკლებად სასიკეთო ზეგავლენა მოეხდინათ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებზე, მაგრამ გადამეტებული სიფრთხილე თუ გულგრილობა აიძულებდათ, რომ მხოლოდ უტყვი შემაცქერალნი ყოფილიყვნენ უბედურებაში ჩაჯვარდნილი მცირერიცხოვანი ქვეყნებისათვის:

რად გიყურებენ ქართველები იმედის თვალით, ანდა სომხები ან ბერძნები და თქვენ კი სდუმხართ, მაშინ, როდესაც სულ უცოდველ მათ შვილებს ძალით აიძულებენ საძულველი ყურანის ზუთხვას?! აღარ ანთია თქვენში ძველი სიქველის ალი, ამას გიფასებს და არაფერ მუსულმანს უთქვამს თქვენთვის მადლობა, რომ დალატობთ საკუთარ მოყვასს, მტერს კი სიამით უხახუნებთ ლოყაზე ლოყას.

მძაფრი პოლიტიკური გზებით გაჟღერებული სტრიქონებია, იმ პოეტურ სიმალეზე ატანილი, რაც კამონენსს შეაძლებინებდა თვალსაჩინო ეპოსის შექმნას, ყველა ცივილიზებული ერი მოვალედ რომ იგრძნობდა თავს, საკუთარ ენაზეც აემეტყველებინა რჩეული პორტუგალიელი შემოქმედი.

ეგაა, შესაფერისი მთარგმნელი უნდა გამოემქნათ თავთავიანთ ნიაღში, რათა „ლუზიადების“ ორეული სრულფასოვანი ყო-



ფილიყო, ისეთი, რასაც ქართველები შევიძლებდით ჯემალ ინჯიას პოეტური და მთარგმნელობითი ხელოვნების წყალობით, კამონენსის ამ ეპოსს ქართული ლიტერატურის კუთვნილებადაც რომ აქცევდა, და აგერ კიდევ გამოჩნდებოდა ჩვენს ენობრივ სივრცეში ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობისაგან“ გზადალოცვილი, მთარგმნელობითი მონაპოვრის თვალსაჩინო ნიმუშთა შორის უკვე რომ დაიბევებდა ადგილს.

გურამ გოგიაშვილი უტრიალებდა ერთ დროს ამ ეპოსს და პნკარედულ თარგმანსაც მოიპოვებდა, მაგრამ მისი მთარგმნელობითი ტემპერამენტის შესატყვისი ვერ აღმოჩნდებოდა ეს ქმნილება და... უშურველად გადასცემდა და შეაგულიანებდა ჯემალ ინჯიას, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე საზღვარგარეთის ლიტერატურის ისტორიის კურსსაც რომ მოისმინდა, ლუის დე კამონენსის სახელიც ჩარჩებოდა ხსონაში ოთარ ჩხეიძისაგან, ვინც გორის სალიტერატურო გამოცემებში, „ცისკარი“ იქნებოდა, „მერანი“ თუ „ლიახვი“, უშურველად დაუთმობდა ფურცლებს ჯემალ ინჯიას ლექსებსა თუ თარგმანებს და დიდ ზეგავლენასაც მოახდენდა მის ჩამოყალიბებაზე შემოქმედად, ორიგინალური ძიებებით რომ გამოირჩეოდა იმთავითვე და სალექსო ტექნიკასაც ისე დახვეწდა და სრულყოფდა, აგერ, ამ დიდებული ეპოსის შესაფერისი ქართული ორეული შექმნასაც შეიძლებდა, გურამ გოგიაშვილი სულაც „პოეტურ გმირობად“ რომ შეაფასებდა.

ამ ლიტერატურულ მოვლენას არაერთხელ დაუბრუნებდა ჩვენი სალიტერატურო კრიტიკა, ამჯერად კი იმ ორად ორი სტროფის გამო გვიწევს კამონენსის აჩრდილის შეწუხება.

რად გიყურებენ ქართველები იმედის თვალით... რას წარმოვიდგენდით, XVI საუკუნის პორტუგალიაში თუ აღმოგავჩნდებოდა ქომაგი და გულშემატკივარი!..

ის, რაც სულხან-საბა ორბელიანის ამო მოგზაურობასაც უნდა დაედასტურებინა საფრანგეთსა და იტალიაში, „ლუზიადებში“ წინასწარვე ნავარაუდევია და სამწუხარო განაჩენიც გამოტანილია ამ და ამგვარი მოგზაურობების მიმართ.

და კვლავაც რომ არაფერი შეცვლილა?! ჩანრეთ „მუსულმანის“ ნაცვლად „რუსეთი“, „ყურანის“ მაგივრად „მესამე რომის“ დოქტრინა, ან რაღაც ამის მსგავსი და... ეგ არის და ეგ.

დასავლეთი ისევ ისე გალურსულა და გასუდრულა. პაუზებს შორის კი გაისმის, როგორ არა, შეშფოთებისა და აღშფოთების ხმები.

ეს ხმები კამონენსის პოეტურ სტრიქონთა შორისაც ამოიკითხება. და კვლავინდებურად მადლობის ღირსნი არიან დასავლეთის სახელმწიფოები, ახლა უკვე რუსეთის მხრიდან რომ დალატობენ საკუთარ მოყვასს, მტერს კი სიამით უხახუნებენ ლოყაზე ლოყას. ...ლუის დე კამონენსს რაღაც მაინც ახსოვდა, შორეული და ბუნდოვანი, და იმასლა ეკონიზებოდა: ძველი სიქველის ალიო... შემფოთებისა და აღშფოთების სიცივესა და უსულგულობას რომ შთაუთქავს. და ჩვენი მხრივ იმასლა ვებლაუჭებით, თვალი მანინც შეგვიჩვენს იმედისა, თორემ სხვა აღარაფერი გვეგულდება საიმედო.

როსტომ ჩხეიძე

⊗ დიდი ომის ეპო

ბრძოლა ომის შედეგ

გერმანიის კაპიტულაციის შედეგად 9 მაისი ომი კვირის განმავლობაში მთელს ევროპაში ბრძოლაში დასრულდა და დაიწყო ანტიფაშისტური ბრძოლის ახალი ეტაპი.

1945 წლის 22 მაისს მზვერავმა ნიკოლაი ივანტევიმა ლატვიაში 42-ე არმიის შტაბში გადასცა სასწრაფო ცნობა: „შევიწინე გერმანელები. მიდიან ტყეში მწყობრით, სამასი კაცი, ყველა ესესელების ფორმაში, სვასტიკიანი დროშის ქვეშ. როგორი იქნება ბრძანება?“. შტაბისტებმა ჯერ გადაწყვიტეს, რომ უფროსი ლეიტენანტი ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულა გამარჯვების დღის შემდეგ, მაგრამ მეორე ტელეფონოგრამის შემდეგ გაგზავნეს ოპერატიული ჯგუფი. მტერი ტყეში დაბლოკეს, აღმოჩნდა, რომ ესენი იყვნენ ესესელები მეექვსე კორპუსის ოფიცრები, რომლებიც გაიქცნენ ალყიდან კურლიანდიაში და ცდილობდნენ მიეღწიათ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის განლაგებამდე. გერმანელები განაადგურეს, მათმა მეთაურმა კი, ობერგრუპენფიურერმა ვალტერ კრიუგერმა თავი მოიკლა. ეს იყო ერთ-ერთი იმ ათეულობით დიდი ბრძოლებიდან 1945 წლის 9 მაისის შემდეგ, რის

1945 წლის 9 მაისს ომი ყველასთვის არ დაითავრებულა

შესახებაც ჩვენ არ ვიცით, როდესაც გამარჯვებას ვზეიმობთ. როდესაც სსრ კავშირის ქალაქებში ყველგან სალუტების ხმა გაისმოდა, ევროპაში ასობით საბჭოთა მეომარი იღუპებოდა, როდესაც ანადგურებდა ნაცისტურ ჯარებს...

„ბოლშევიკები, ნაღით!“

შმალში, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ, საბჭოთა საზღვაო დესანტი გადასხდა დანიის კუნძულ ბორნჰოლმში. ვერმანტის გარნიზონმა უარი განაცხადა დანებებაზე: კომენდანტიმ როლფ ვულტმანმა აცნობა, რომ ჩააბარებს იარაღს მხოლოდ ბრიტანელების წინაშე: „ბოლშევიკები უნდა წავიდნენ, თუ სურთ ცოცხლები დარჩნენ“. ასეთი თავხედობა საბჭოთა სარდლობამ ვერ აიტანა: ჩვენმა მედესანტებმა დაიკავეს ტელეგრაფი და ნავსადგური – გერმანელები

ჩასხდნენ ხომალდებში, ცდილობდნენ წასულიყვნენ ინგლისელებისკენ. ბრძოლები, მათ შორის საარტილერიო სროლები და დაბომბვები, გრძელდებოდა 9 და 10 მაისსაც – სსრ კავშირის ავიაციამ ჩაძირა ათი ხომალდი, მებრძოლებმა ხელში ჩაიგდეს ორი ბარუა, სადაც ვერმანტის 800 ჯარისკაცი იმალებოდა. 11 მაისის დილისთვის უკანასკნელი ნაცისტები გამოვიდნენ ბუნკერებიდან ხელანულები – ტყვედ ჩაბარდა მესამე რეიხის 11138 სამხედრო. მეორე დღეს (1945 წლის 12 მაისს) ჩეხოსლოვაკიის სოფელ სლივნიცასთან ჩვენმა არმიამ დაბლოკა დასავლეთისკენ მიმავალი ესესელების ბატალიონები. შეტყვის დროს მოკლეს 1000 ესესელი, 7 ათასი კი ტყვედ ჩაგვარდა. 14-15 მაისს სლოვენიაში გაიმართა პოლიანის ბრძოლა: ერთბაშად 30 ათასი ესესელი და ხორვატელი „უსტაშა“ უნაყოფოდ შეეცადა გაჭრილიყო მოკავშირეებისკენ იტალიაში, მაგრამ ისინი გაანადგურეს იუგოსლავიელმა პარტიზანებმა საბჭოთა ოფიცრების დახმარებით.

1945 წლის 20 მაისამდე ბრძოლები მიმდინარეობდა კუნძულ ტექსელზე (ნიდერლანდი), საბჭოთა ტყვეებსა (ძირითადად



ქართველები იყვნენ) და ვერმანტის რაზმებს შორის. ტყვეებმა დაიწყეს აჯანყება ჯერ კიდევ 5 აპრილს, მაგრამ მოკავშირეებმა... დაივიწყეს გაენიათ მათთვის დაპირებული მხარდაჭერა. ქვემეხებით სროლების დროს განყვდა კავშირი, არ მუშაობდა რადიოსადგურები. ტექსელი ხმელეთს მოწყვეტილი აღმოჩნდა. 9 მაისს კუნძულზე ვერავინ გაიგო, რომ გერმანია დანებდა. უცნო-

ბია, კიდევ რამდენხანს გაგრძელდებოდა სისხლისღვრა, მაგრამ ტექსელიდან ნავით გაიქცა ერთი ადგილობრივი მცხოვრები და გამოიძახა კანადელი სამხედროები. მოკირებულმა გერმანელებმა, რომლებსაც უჩვენეს გაზეთები სტატიებით მესამე რეიხის კაპიტულაციის შესახებ, დაყარეს იარაღი.

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

სპორტი

ფეხბურთი

„დინამო“ „ჩიხურა“ შერ ბატმსა და ჩემპიონობა გადამო

საბჭოთა დროს ეროვნული ჩემპიონატის მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 2 ტურით ადრე, თბილისის „დინამოს“ ჩემპიონობის განადგობის შანსი ჰქონდა, მაგრამ მალხაზ ჟვანიას გუნდმა საჩხერის „ჩიხურას“ დამარცხება ვერ მოახერხა. მატჩის დებოტში გუნდებმა საჯარიმო დარტყმები გაცვალეს. თავიდანვე გამოჩნდა, რომ „ჩიხურა“ უბრძოლველად არაფერს დათმობდა და მასპინძლებს გუნდს მდგარ წინააღმდეგობას გაუწევდა. მეტოქეებს ერთმანეთის საჯარიმო მოედანში შესვლა უჭირ-

სომხი შვილიმა ამჯერადაც ეფექტური ნახტომით მოიგერია ბურთი. ორიოდ წუთში, სტუმართა კარის სიახლოვეს საჯარიმო დარტყმა დაინიშნა, რომლის შესრულებაც გიორგი მერეზაშვილმა ითავა. თბილისელთა „ათიანმა“ კარგად დაარტყა, მაგრამ კარს მცირე მანძილით ააცილა.

დასკვნით წუთებში თბილისელებმა შეტევა კიდევ უფრო გააძლიერეს, მაგრამ საქმე შედეგთან დარტყმამდე ვერაფრით მიიყვანეს. ამგვარად, მალხაზ ჟვანიას გუნდმა ჩემპიონობის ვადაზე ადრე მოპოვება ვერ შეძლო. მატჩის ბოლო წუთებში კარს მალხაზ ჟვანია გაიტყდა, ასე არ უნდა თამაშობდეს. ალბათ, მთელი ძალები წინა მატჩს შევალთ, მაგრამ ძალები აუცილებლად უნდა ალგვედგინა. ჩემპიონობის შანსის დაკარგვა სისულელეა და ეს არ უნდა დავეშვათ. მომდევნო მატჩებში ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ“.

სოსო ვრუშიძე („ჩიხურა“): „ჩვენთვის ბოლო თამაშები თასის ფინალისთვის მოსამზადებელია. გარდა ამისა, თავმოყვარეობის საკითხიც იყო, რომ თბილისში არ წაგვეყო. მოგებაზე შეიძლება, მაგრამ საქმე ისე არ წავიდა, როგორც გვინდოდა. ცხადია, მოგება „დინამოსაც“ შეეძლო“.

დინარჩენი შედეგები: „გურია“ – „ზესტაფონი“ 0:5, „მეტალურგი“ – „სიონი“ 2:0.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ – 62, „ზესტაფონი“ – 58, „სიონი“ – 54, „ჩიხურა“ – 46, „მეტალურგი“ – 42, „გურია“ – 33 ქულა.

მანუჩარ ბიორბაძე



დათ და უმეტესად შორი დისტანციიდან ცდილობდნენ ანგარიშის გახსნას. ერთ-ერთი ასეთი მცდელობა ჰქონდა „ჩიხურას“ გარემარბ გიორგი ვაბედაძესაც, მაგრამ ბურთი მოიჭრა და კარს გვერდიდან ჩაუფრინა.

ტაიმი უკანასკნელ წუთებზე, ლევან ხმალაძემ და მათე ცინცაძემ შორეული დარტყმები გაცვალეს, მაგრამ მიზანს ვერცერთმა მათგანმა მიაღწია. ამგვარად, გუნდები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

მეორე ტაიმი მასპინძლებმა აქტიურად დაიწყეს. ცხადია, მათი ერთადერთი მიზანი 3 ქულა იყო. 47-ე წუთზე დინამოელთა მარცხენაფლანგელმა დავით კვიციანი მიულოცა და დაარტყა, მაგრამ სტუმართა მეკარემ გიორგი

გაზეთი დროში

– გაზეთი „ლელო“ რედაქციაში რომ შეიპყრებოდა და ლელოელი გახდებოდა, სხვაგან ვეღარ წახვიდოდი. დაახლოებით ისე, მსახიობები თეატრის მტვერს რომ ჩაისუნთქავენ და თეატრიდან ვეღარ გადიან.

საბჭოთა პერიოდში ხომ მხოლოდ სპორტში იყო სიმართლე, „ლელოში“ კი ცნობილი მოღვაწეები მუშაობდნენ: მწერლები, მხატვრები, ინტელექტუალი ხალხი, რომლებთან ურთიერთობა ყველასთვის სასიამოვნო იყო, – გაიხსენა „ლელო“ ყოფილი რედაქტორმა არჩილ გოგელიამ გაზეთის 80 წლის იუბილზე, რომელიც კულტურის ცენტრ „მუზაში“ გაიმართა.

ლონისძეებმა სამ ეტაპად იყო დაყოფილი. პირველი ნაწილი ღია ცის ქვეშ შედგა: გაზეთის რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე სპორტის სამყაროს ძმუხასძ ეზოში მიეგება. ნამყვანი ჯამლეტ ხუბაშვილი სტუმრებს ლონისძეებისთვის განგებ დადგმული საფეხბურთო კარისკენ უხმობდა, სადაც სამი პენალტის ავტორი ფეხბურთის ბურთით ჯილდოვდებოდა.

პენალტის ნიშნულთან მივიდნენ ვეტერანი ფეხბურთელი მანუჩარ მანაიძე, ყოფილი კალათბურთელი ვლადიმერ ბოისა... ხოლო საკუთარ ბურთს ფარში საჯარიმო ტყორცების სიზუსტით ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრის ხელმძღვანელი კახა ბერიძე გამოირჩა. ამის დანახვაზე ჯამლეტ ხუბაშვილმა იკითხა: სად არის საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი?

დამსწრე საზოგადოებას საშუალება ჰქონდა, ფორმულა 3-ის ბოლიდთან და ლეო მესისთან ფოტოები გადაეღო. საამისოდ საჭირო იყო დიდი სურათის უკან დადგომა და ვალენსიელი ფეხბურთელის (რომელიც მესის მისდევდა) ამოჭრილი სახიდან გამოხედვა.

მოშორებით მშვილდოსნობაში ძალების მოსინჯვაც შეიძლებოდა და 11-გზის ოლიმპიურ ჩემპიონ დონა გაფრინდაშვილთან საჭადრაკო პარტიის თამაში... თამაში – კი ბატონო, მოგებაზე კი რა მოგახსენოთ... სპორტულ ლონისძეებს დამატებითი ელფერი შესძინეს ჭაბუკმა კარატისტებმა და ძიუდოსტებმა, რომელთაც რამდენიმე შესაძლო რამდენიმე წლის შემდეგ ისევე მოხვდეს დიდ ეკრანზე, როგორც ამჯერად ლაშა შავდათუაშვილი, ზვიად ზვიადური და საქართველოსთვის სახელის მომხვეჭი სხვა სპორტსმენები.

როგორც მიხვდით, ლონისძეების მეორე ნაწილი „მუზას“ დარბაზში გაიმართა. ჩვენც სპორტულ საზოგადოებასთან ერთად შენობაში შევიდით, სავარძელზე მოვკალაბდით და მოუხმინოთ ნამყვან დავით მინაშვილს, რომელმაც ძლეოსძ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს 75 წლის იუბილე მიულოცა და მიკროფონი დაუთმო:

– ყველას მადლობას მოვასხენებ ჩვენი დაფასებისა



უბერებელი იუბილარი

„ლელო“ 80 წლისაა

და იუბილზე მომზადებისთვის. მადლობა „პალიტრა მედიას“, რომლის ფრთებქვეშაც 2008 წლიდან „ლელოს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა.

80 წლის განმავლობაში ჩვენს გაზეთს არაერთი გამარჯვება და იმედგაცრუება უნახავს. ზოგიერთი ლელოელი ჩვენ გვერდით აღარ არის. ამას წინათ აღმოვაჩინე ნიუ-იორკის ჩანთა, რომელიც ჩვენმა ცხინვალელმა კორესპონდენტმა სამაზაბლოში წასვლის წინ დატოვა. სამწუხაროდ, იგი მას მერე აღარ დაბრუნებულა...

„ლელოს“ რედაქტორის შემდეგ სცენაზე სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი ავიდა:

– გაზეთის მრავალწლიან ისტორიაში იცვლებოდა სახელი, იცვლებოდა კოლექტივი, შეიცვალა ფასიც, ქვეყანაც, მაგრამ „ლელო“ დღესაც მთავარი სპორტული გაზეთია, რომლის ამოცანაა უწინდელი რჩება – ქართული სპორტის ხელშეწყობა.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელმა ლერი საბელოვმა ოლიმპიური პროპაგანდისთვის „ლელოს“ რედაქტორ თენგიზ გაჩეჩილაძეს სპეციალური ოლიმპიური მედალი გადასცა.

„ლელოსა“ და საიტ sportall.ge-ს გამოკითხვის მიხედვით 2013 წლის საუკეთესო ქართველი მორაგბე მამუკა გორგოძე გახდა. რადგან „ლელო“ იუბილესთვის ემზადებოდა, გადაწყდა, ჯილდო მამუკასთვის გაზეთის საიუბილეო საღამოზე გადაეცათ. გორგოძე ამჟამად საფრანგეთშია, ამიტომ ჯილდო რაგბის ნაკრების მენეჯერმა ვასილ აბაშიძემ მიიღო.

sportall.ge-ზე ბოლო ერთი თვის განმავლობაში გრძელდებოდა გამოკითხვა, რომელსაც ვასუხი უნდა გავცა ორ კითხვაზე: ვინ არის ბოლო 80 წლის საუკეთესო ქართველი მამაკაცი და ქალი სპორტსმენი? ზოგი, შესაძლოა, არ დათანხმე-

ბოდა წინასწარ წარდგენილ სუთელს, მაგრამ ფაქტს ვერსად გავიქცევით – გამოკითხვებში დამსახურებულად გაიმარჯვეს ნონა გაფრინდაშვილმა და დავით ყიფიანმა. ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს, შესაბამისად, ნინო სალუქვაძემ და მაია ჩიბურდანიძემ, ხოლო მამაკაცებში – ლევან თედი-აშვილმა და ვიქტორ სანეივამ.

ქალბატონმა ნონამ ერთი საინტერესო ამბავი გაიხსენა: – ასეთი აღიარებები მაინც პირობითია. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ საქართველოში სპორტი ყოველთვის უყვარდათ და ეყვარებოთ.

90-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელი ხუნი ანტონიო სამარანჩი იყო ჩამოსული. გავაცანით სპორტული მიღწევები და ვუთხარით – პატარა ქვეყანა კი გვაქვს, მაგრამ ბევრი წარმატებული სპორტსმენი გვყავსო.

სამარანჩიმ მოკლედ მოგვიჭრა: დიდი ქვეყანა გქონიათ. საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელმა ჰამლეტ გეგიაშვილმა სცენაზე იხ-

მო „ლელოს“ სამი ჟურნალისტი: მერაბ მამულაშვილს სერგო მესხის სახელობის პრემია მიენიჭა, ხოლო ვაჟა დანელიასა და გია ტუხაშვილს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის ნოდება. ფოტოგრაფ ალექსანდრე კოტორაშვილს სპეციალური ჯილდო გადაეცა, ხოლო სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ გაზეთი „ლელო“ დააჯილდოვა მიხეილ კაკაბაძის პრემიით, რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე – ნოდარ გუგუშვილის სახელობის პრემიით.

საუჭიაროა შორის იყო თანამედროვე ტიპის, უმაღლესი ხარისხის ტელევიზორი („პალიტრა მედიანგან“), ასევე – 300-ლარიანი ვაუჩერი „სილქნეტისგან“. მოკლედ, ყველაფერი – მსოფლიოს კარსმოძღვარი ჩემპიონატის სათანადოდ საყურებლად. საღამო კი საპატრიარქოსთან არსებული უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდის „მრავალჟამიერმა“ დაასრულა.

კოზა კოზახიძე

აბტივება

ჯემალ სარცვაძეს „სპორტის რაინდის“ წოდება მიენიჭა



ლეონიდაშვილი ქართველი ხელბურთელი ჯემალ ცერცვაძე იუბილარია – „ხელბურთის პელები“ წოდებულ მოთამაშეს 75 წელი შეუსრულდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ჯემალ ცერცვაძეს სამინისტროში უმასპინძლა, იუბილე მიულოცა და „სპორტის რაინდის“ წოდება მიანიჭა.

ცერცვაძეს იუბილე მინისტრთან ერთად მინისტრის მოადგილემ თამაზ თევზაძემ მიულოცა. შეხვედრას ესწრებოდნენ ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზურაბ კაკაბაძე, გენერალური მდივანი ქეთევან კობერიძე და ვიცე-პრეზიდენტი ვახტანგ მელიქიანი. ჯემალ ცერცვაძე 1958-1972

წლებში თბილისის „ბურვესტნიკში“ თამაშობდა, 1959-1972 წლებში კი საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელი გახლდათ. გამოარჩევდა ფენომენალური ტექნიკა, თავბრუსხვევითი ფინტები და მეტოქეთათვის ამოუცნობი ტყორცნები. 1967 წელს შეედითში გამარჯვებული მსოფლიო ჩემპიონატზე მას „ხელბურთის პელები“ შეარქვეს.

1962 და 1964 წლებში, „ბურვესტნიკში“ თამაშისას ის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, 1965, 1966, 1967 წლებში ვერცხლის მედლებს დაეუფლა, 1963 წელს კი მესამე ადგილზე გავიდა. 1962-1971 წლებში ჯემალ ცერცვაძე ზედიზედ ათჯერ გახდა საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი!

1964, 1967 და 1970 წლებში „ხელბურთის პელები“ მსოფლიო ჩემპიონატებზე იასპარეზა. 1964 და 1967 წლებში ტურნირის ყველაზე ტექნიკურ ხელბურთელად აღიარეს, სამჯერ კი მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. საერთო ჯამში სსრკ ხელბურთელთა პირველ გუნდში 78-ჯერ ითამაშა და 276 გოლი გაიტანა!

ჯემალ ცერცვაძემ 1980 წელს, საბჭოთა კავშირში პირველმა, ოლიმპიური რეპრეზენტის ხელბურთის სპეციალიზებული სკოლა დააარსა, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს.

როსტომ რაჭველიშვილი

ფინალის წინ

უეფამ „რეალის“ საჩივარი უარყო



მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ჩაბი ალონსო ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ ვერ ითამაშებს.

უეფამ უარყო „სამეფო კლუბის“ აპელაცია ყვეთელი ბარათის გაუქმებისთან დაკავშირებით, რომელიც 32 წლის ფეხბურთელმა მიუნხენის „ბაიერნთან“ ნახევარფინალის საპასუხო მატჩში მიიღო (4:0). ეს ალონსოსთვის მესამე გაფრთხილება იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ამ ტურნირის ფინალურ შხვედრისთვის დისკვალიფიცირებულია.

ახლა მადრიდელს ისლა დაარჩინათ, რომ ლოზანაში უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართონ. ფინალური შეხვედრა 24 მაისს ლისაბონში გაიმართება.

გიორგი შოთაძე

ლეგიონარები

ჰიკმანის, შერეპლინის და მარკოვივილის საკლუბო ანგარიშები

რიკი ჰიკმანის „მაკაბი“ ისრაელის ჩემპიონატის მეოთხედფინალურ სერიაში „გალილი გილბოასთან“ გასვლითი მატჩი 71:75 წააგო და ნაკლებად ცნობილ მეტოქეს წონასწორობის აღდგენის საშუალება მისცა - 1:1.

შეგახსენებთ, რომ თელავიველებმა რეგულარული სეზონი პირველ ადგილზე დაასრულეს, „გალილი გილბოას“ კი მე-8 შედეგი ჰქონდა, თუმცა, ფავორიტად მიჩნეულ მონინალმდეგესთან სერიის მე-3 გადაწყვეტელ მატჩამდე მიყვანა მაინც მოახერხა.

გასულ შეხვედრაში თავის გამოჩენა ვერც მაკაბელთა ქართული პასპორტის მქონე ლეგიონერმა მოახერხა. ჰიკმანი მოედანზე 23 წუთი გახლდათ და სტუმრებს

შეხვედრას 10 მაისს „მაკაბი“ უმასპინძლებს.

საბერძნეთის ჩემპიონატის მეოთხედფინალური სერია გიორგი შერეპლინის გარეშე გახსნა „ოლიმპიკოსმა“. პირველ ეტაპზე სალონიკის „არისი“ 74:44 გაანადგურეს, ქართველ ცენტრს კი მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია.

პლეი ოფის დრო მოდის თურქეთის ჩემპიონატშიც, სადაც მანუჩარ მარკოვივილის „გალიათასარაიმ“ რეგულარული პირველობა მე-4 ადგილზე დაასრულა და მოედნის უპირატესობა დაიბევა. დასკვნით ტურში სტამბოლურ ეტაპზე „მერსინი“ 100:88 დაჯანსაღდა და ეს გუნდის ლიდერთა გარეშე მოახერხეს. სტუმართა თავკაცმა ერგინ ატამანმა მი-



6 ქულა, 1 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა.

რიკი 6-დან 1-ორქულიანი და 4-ვე საჯარიმო ჩააგდო, 2 სამქულიანი ააცილა, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 2-ჯერ დაუფარეს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო და მის წინააღმდეგაც ამდენჯერვე დაჯარიმდნენ.

თელავიველთა მხრიდან 10-ქულიან ზღვარს 3 კალათბურთული ასცდა: დავიდ ბლუ (19), ალექს ტიუსი (15) და ტაირის რაისი (14).

მეოთხედფინალის გადაწყვეტ

ზანს მარკოვივილის, კარლოს არიოს და ზორან ერცეგის გარეშე უნია. ცხადია, დასვენებული სამეული „გალას“ პლეი ოფში უფრო გამოადგება.

მეოთხედფინალში მარკოვივილის გუნდის მეტოქე სტამბოლისე „ბეშიქთაში“ იქნება, ასე რომ, „გალიათასარაის“ პირველივე რაუნდში პრინციპული დაპირისპირება ელის. სერიის პირველ შეხვედრას 13 მაისს მანუჩარის კლუბი უმასპინძლებს.

ვითაღი ჯავარიძე

ინფორმაცია

ამოღებული დიდი

რაოდენობით პარონი

რომორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველო თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ალექსანდრე ს. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დააკავეს პირადი ჩსრევისას 13,6450 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 11,3253 გრ შეროინს შეიცავს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

შსს-მ ქურდობის

ბრალდებით ორი

პირი დააკავა

სამართალდამცვეებმა ქურდობის ბრალდებით ორი პირი დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, შსს-ს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკაში მცხოვრები მამა-შვილი, 1964 წელს დაბადებული სეირან ჰ. და 1989 წელს დაბადებული ვოლოდია ჰ. ქურდობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა მიმდინარე წლის 25 აპრილს ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკასთან ახლოს მდებარე მარაბდა-კარწახის მშენებარე საარქიტექტო მაგისტრალიდან 156 ცალი რელსის გადასაბმელი და სხვა მასალები მოიპარეს.

გამოძიებამ ასევე დაადგინა, რომ მოპარული საარქიტექტო მასალების საერთო ღირებულება დაახლოებით 6000 ლარს შეადგენს. სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები ნივთმტკიცებად ამოიღეს.

ნათელა, იუზა, ნელი ვასაძეები ოჯახებით მწუხარებით იუნჯებიან რძლის

გატუბა ქაჯანია-ვასაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ძმის გიზოს ოჯახს. პანაშვიდი 8, 9 V, 17 სთ. მისამართი: ატენის ქ. 20 | სადარბაზო, VII სართული, დაკრძალვა 10 V, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

ვიქტორია სირაძე, ნელი გურგენიძე, მადონა მგელაძე, დალი ბოჯგუა, ლამარა გაგუა, ნათელა ლალიძე, ლია ლომიძე, ბელა მყაშვილი მწუხარებით თანაუგრძობენ გიზო, ნათელა, იუზა ვასაძეებს მეუღლისა და რძლის, დამსახურებული ექიმის, სათნო ქალბატონის

გატუბა ქაჯანია-ვასაძის

გარდაცვალების გამო.

რუსთაველის თეატრი ღრმა მწუხარებით იუნჯება, რომ გარდაცვალება ცნობილი თეატრმცოდნე

კობა ნინიაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვალია ნაჭყებია, ციალა კვარაცხელია, ინგა ლაგვილავა, მანონ, ინგა ქელბაქიანი გულსტიკვილით იუნჯებიან, რომ გარდაცვალებათ თანასკოლევი, სტუდენტობის უახლოესი მეგობარი, უნიჭიერესი პიროვნება, დამსახურებული პედაგოგი

ეთარ ბრიგორის ასული შვანიძე

და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და მის ნათესავებს.

თბილისის ზოოპარკის იზიარებელი

ჯიუის პინგვინები შეამატება

სამხრეთი პინგვინების თბილისში, საგარეუდოდ, მაისის ბოლოს ჩამოიყვანენ. ამის შესახებ თბილისის ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, ეს არის უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან საქართველოს ზოოპარკში პინგვინი არასდროს ჰყოლიათ.

რაც შეეხება პინგვინების მოვლის ხარჯებს, გურიელიძის თქმით, ხარჯები დათვლილია და წლის განმავლობაში პინგვინების შენახვა იმაზე ძვირი არ დაჯდება, რაც სხვა ცხოველების მოვლაზე იხარჯება.

სამხრეთ აფრიკული პინგვინი გადასვენების პირას მყოფ წყალქვეშა ცხოველთა რიცხვშია. პინგვინის ეს სახეობა ასევე ცნობილია, როგორც ვირ-პინგვინა, რადგან მათი ხმა, წამოძახილი ძალიან ჰგავს ვირის ყროყინს. იგი მხოლოდ და მხოლოდ აფრიკაში, ნამიბიის სახელმწიფოსთან ახლოს ბინადრობს.

განცხადება

2014 წლის 29 მაისს, დღის 11 საათზე განმეორებით დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარელი“ აქციონერთა საერთო კრება. დღის წესრიგი:

- 1. 2013 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხი.

სს „ყვარელი“ ადმინისტრაცია

მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქ. №72.

დაუსრულებელი სამზარეულო

ვაგარძელები რუბრიკას „ჩვენი კალათა თხვერ ჩიღვი-ნაძისებნი ერთად“. დღეს შემოგთავაზებთ ყველასათვის საყვარელი რაჭული კერძის „შქმერული“ და იტალიური კერძის „როზიტოს“ მომზადების რეცეპტებს.

შქმერული

შქმერული რაჭული კერძია, მისი სახელი რაჭის სოფლიდან - შქმერიდან მოდის და მთელ საქართველოში ძალიან პოპულარულია. მზადდება კვეცი, რძისა და ნივრის დამატებით.

ინგრედიენტები (4 ულუხა):

- ქათამი - 1 ცალი.
რძე - 400-500 მლ.
ნიორი - 1 თავი.
კარაქი - 1-2 სადილის კოვზი.
მარილი - გემოვნებით.

სამზარეულო:

- დანა.
ქვაბი.
კოვზი.
კეცი ან ტაფა.
სამზარეულოს დაფა.



სალი პრეპარატი:

სხვა ქართული კერძების მსგავსად, შქმერული შემთხვევაშიც სასურველია ახალი პროდუქტების გამოყენება. შეარჩიეთ ახალი ქათამი და მაღალცხიმოვანი რძე. შქმერულს ზოგი დიასახლისი რძის გარეშე, უბრალო ნიორს ყლით ამზადებს, რაც კერძის გემოვნურ თვისებებს აკნინებს.

- 1. ქათამს ნაუსვით მარილი, შეწვით ცხიმში და დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად.
2. ერთი თავი ნიორი გაფცქვენი და დაჭყლიტეთ.
3. ქათამის ნაჭრები გადაიტანეთ კეცზე.
4. ქათამის ნაჭრები მიჯრით დააწყვეთ, რომ კეცი მთლიანად გაივსოს.

5. რძე ჩაასხით ქვაბში და წამოადუღეთ, დაადუღეთ 350 მლ-მდე, დაუმატეთ დანაყლი ნიორი, მარილი, ქათამის შეწვისას დარჩენილი ცხიმი.

6. რძე გადმოდგით ცეცხლიდან და კეცზე მოთავსებულ ქათამის ნაჭრებს დაასხით.

7. კეცი შედგით წინასწარ საშუალო ტემპერატურაზე გახურებულ ლუმელში.

რჩევა:

შქმერულის მომზადებისას სასურველია გამოიყენოთ მაღალცხიმოვანი რძე, რომელიც დიდხანს უნდა აღულოთ, რომ 1/2 დარჩეს.



დანაყლი ნიორი და ქათამის შეწვისას დარჩენილი ცხიმი რძეს ბოლოს შეუვრთეთ, რომ ნიორმა თავისი არომატი შეინარჩუნოს.

10-15 წუთის შემდეგ, როდესაც წვენი წამოდუღდება და ქათამიც კარგად დაიბრანება, კერძი გამოიღეთ ლუმელიდან და ცხელ-ცხელი მიიტანეთ სუფრასთან.

როზიტო

როზიტო იტალიური კერძია, რომელიც ბრინჯისგან მზადდება და მისი უამრავი ვარიანტი არსებობს. დღეს სოკოს როზიტოს რეცეპტს შემოგთავაზებთ.

მასალები:

- 1 ჭიქა გრძელი ბრინჯი,
1 თავი ხახვი,
1 ქილა დაკონსერვებული ან 300 გრამი ახალი სოკო,
გახეხილი ყველი პარმეზანი,
ზეთი,
მარილი, პილპილი, სანელებლები - გემოვნებით.

მომზადება:

გავრცეხეთ და სანურზე გადავიტანოთ ბრინჯი, რომ წყლისგან დაინრიტოს. გავრცეხოთ და დავჭრათ სოკო. თუ კონსერვს ვიყენებთ, მაშინ გავხსნათ და სანურზე დავტოვოთ. დავჭრათ ხახვი, ქვაბში ჩავასხათ ზეთი და მოვშუშოთ ხახვი. ფერს რომ შეიცვლის, დავამატოთ წინასწარ გახსნილი და სითხისგან დანრეტილი სოკო. გავაგრძელოთ შუშვა. რამდენიმე წუთის შემდეგ დავუმატოთ ბრინჯი და კარგად ამოვურთოთ, რომ სითხე შეიშროს და ბრინჯის მარცვლებიც ოდნავ მოიშუშოს. სანამ ბოსტნეული მზადდება, სასურვე-



ლოს ქვაბი გადმოდგით, კერძს მოაყარეთ პილპილი, მარილი (თუ აკლია), სურვილით - სამებრ, ძირა ან ინდური სანელებელი ქაური. დაახურეთ მჭიდროდ და დადგით ცოტა ხანს, რომ ბრინჯმა სითხე მთლიანად შეიწოვოს და ფანტია დარჩეს. მზა როზიტოს შეგიძლიათ მოაყაროთ გახეხილი ყველი.

მცირე ენციკლოპედია

ისავე სიახლოვეს უფრო სჯობს



ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მეუღლეთა გაყრა ქალებისთვის სასიფათო ყოფილა.

ჭარბი შაქარი

მეხსიერებასაც ჰნავს

ისინი ორი წლის მანძილზე 35 ათას წყვილს აკვირდებოდნენ და გაარკვეეს, რომ გაყრის შემდეგ ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად უარესდებოდა.

ეს დასკვნა ბერლინის შარტიტის უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიტანეს. მათ დაადგინეს, რომ იმ ადამიანებს, ვისაც გლუკოზის დაბალი შემცველობა აქვთ, მეხსიერებასა და სწავლებაზე პასუხისმგებელი თავის ტვინის ნაწილი სხვებთან შედარებით გაცილებით დიდი აქვთ.

ჩვენი დამსვენებელი... კომპილერი

ფინანსებში მდებარე ინსულტის რისკს ამცირებს. ამ სასწაული ეფექტის მიზეზი ტრიატებში ანტი-ოქსიდანტი ლიკოპინის არსებობაა.

გამოკვლევისას მედიკოსებმა აღმოაჩინეს, რომ სისხლში ლიკოპინის მაღალი შემცველობის მქონე ადამიანებს ინსულტის საფრთხე 59 პროცენტით უფრო ნაკლები აქვთ, ვიდრე იმათ, ვისაც სისხლში მისი ნაკლებობა აღენიშნება.



მათსა და ინსულტის საფრთხეს შორის კავშირის დადგენა ვერ მოხერხდა. ამერიკელ დიეტოლოგთა ვერსიით, უნდა პომიდორი ყველაზე სასარგებლო პროდუქტების რეიტინგის სათავეში იყოს მოქცეული.

მოსუბაულოვის პარაზიტი

შეიქმნო გონებასისუსტეს, რომლის დროს დასწრელებული ადამიანი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს ადრე შექმნილ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, დემენცია ეწოდება.

დემენციას ხალხი „მარაზში“ გადავარდნას ეძახის; იმისდა მიხედვით, თუ თავის ტვინის რომელი უბანია დაზიანებული, სხვადასხვა სახეობის დემენციას არჩევენ. კერძოდ, ქერქის დემენციას (მაგალითად, ალცჰეიმერის ავადმყოფობა), ქერქსქვეშა დემენცია (მაგალითად, სისხლძარღვთა, რომლის შედეგია თავის ტვინის ინსულტი), მულტიფოკალური (მრავალკერძო დაზიანებები); დემენციის 60 პროცენტის შედეგია ალცჰეიმერის ავადმყოფობა; დემენციის 15-20 პროცენტი სისხლძარღვთა დაავადების დროს ჩნდება; 65-76 წელი იმ ასაკია, როცა ეს დაავადება ავადმყოფთა უმეტესობა ეყრება; იმ ადამიანებში, სადაც მოხუცებულობის დემენციას უკვე ჰქონია ადგილი, მისი რისკი 4,3-ჯერ უფრო მაღალია; მოხუცებულობის დემენციის ეფექტიანი თერაპია არ არსებობს, გონებასისუსტის პროცესის შეჩერება ვერ ხერხდება.



„შაქარი“ სხვაობის ტკიპილი გემო

ბევრს ჰგონია, გახდომას რომ დააპირებს, აუცილებლად უნდა იშვილოს, რაც მართებულად არ არის.

უნდა გვახსოვდეს, რომ თავის ტვინი მხოლოდ შაქრით (გლუკოზით) იკვებება, რომლის დეფიციტის შემთხვევაში მას მუდამ შია. ისინი, ვინც საკვებს არ იღებენ, საოცარ შიმშილს განიცდიან, ამიტომ ადრე თუ გვიან ჭამას სრულიად უკონტროლოდ იწყებენ.

გარდა ამისა, შიმშილობის დროს ზიანდება ლვილი. როცა მუშაობისთვის საჭირო ნივთიერებებს არ იღებს, იგი ცხიმის სინთეზირებას იწყებს, რომელიც ლვილის უჯრედებს შლის, ნარმოიშვება ლვილის ცხიმოვანი ავადმყოფობა, შემდგომ კი ციროზი. მეტიც: თურმე გახდომისას მარტო ბევრი საჭმლის მიღება კი არ არის მარჯვ, არამედ ცოტას ჭამაც: მთავარი საკვების კალორიულობა.

გახდომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მარილსა და დამარილებულ პროდუქტებზე უარის თქმა. საჭმელს ისაა, რომ მარილის შემადგენლობაში შედის სითხის დამკავებელი ნატრიუმი, რაც წყლის დაჭერასა და ნონის მომატებას იწვევს. ამიტომ კვების რაციონიდან მარილი უნდა ამოიღოთ და მაშინვე იგრძნობთ, რომ ზედმეტი წყლის დაკარგვასთან ერთად წონაშიც დაიკლებთ. ისინი, ვინც უმარილო დიეტას იცავენ, თავის განმავლობაში ჭარბი წონის ათ კილოგრამამდე კარგავენ.

გაზეთის შეფაფხი ნომერი გამოვა 13 მაისს

ციცხსალი ანეკდოტები

- ბრ არის საჭირო პირის ამხელაზე გაღება, - ეუბნება კბილის ექიმი პაციენტ ქალს.
- კი, მაგრამ თქვენ თავად არ მითხარით, პირში ინსტრუმენტები და საარკე უნდა შევიტანო?



შეიძლება თუ შეიძლება ყველაზე მაგარი ავტოკალამი, - ეუბნება ტიპი საკანცელარიო მაღალბიის გამყიდველს, - და კარგად შემიფუთეთ. მე და ჩემს

ცოლს ქორწინების წლისთავი გვაქვს აღსანიშნავი.

- გასაგებია, ცოლისთვის პატარა სიურპრისის გაკეთება გინდათ არა?
- პატარა კი არა, ძალიან დიდი სიურპრისის - ცოლი „მერსედესს“ ელოდება.

მძიმე მე მიყვარს ბალზაის ასაკის ქალები. ეს ნორმალურია?
- თქვენ, ჩემო კარგო, გარყვნილი ყოფილხართ. ბალზაკი უკვე 200 წლისაა...

- დედი, ჩემს გადის ვუყვარვარ?
- რა თქმა უნდა, უყვარხარ.
- რამდენს უნდა, რომ ვუყვარდე?

ინფორმაცია

ბისუბუბო სსიაოვნო კილს!

ღამის ტანსაცმლის შერჩევა - მეტად ინტიმური საკითხია. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ამას სწორად წვევთ?

ზასონი - უბრალო სანთი პარატი

ღამის ტანსაცმელი, როგორც სხვა არაფერი, გასცემს ადამიანის დამოკიდებულებას საკუთარი თავისადმი. შეიძლება, ვინმე მას არ აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, მაგრამ ტენდენციები ქალბატონისთვის აუცილებელია განცხრომის, კომფორტის, სილამაზის შეგრძნება და მოდა ითვალისწინებს ამ მოთხოვნას.

ბას იყიდით. დრო ერთ ადგილზე არ ჩერდება: დღეს გამოჩნდა ინოვაციური ნატურალური მასალები, რომლებიც თავიანთი თვისებებით 100 პროცენტით სჯობს ბამბას ან აბრეშუმს...

თუმცა, იყავით განსაკუთრებით ყურადღებით, როდესაც ყიდულობთ აბრეშუმის ღამის თეთრეულს. იარლიყი ერთია, მაგრამ მაინც უნდა შევამოწმოთ ასეთ ნაკეთობის ნატურალურობა. მიიღეთ ქსოვილი ლოყაზე 2-3 წამით: ნატურალური აბრეშუმი იძენს თქვენი სხეულის ტემპერატურას. მეორე ხერხი - ძლიერ მოჭმუჭნეთ ქსოვილი მუშტში: ხელოვნური აბრეშუმი ზედა დარჩება მკაფიო ნაოჭებით, ნატურალურზე კი ისინი მჩნეოდ შესამჩნევია იქნება.



ასლა ტრიკოტაჟის შესახებ. თუ პიჟამებისა და პერანგების იარლიყებზე არის წარწერა „100 პროცენტი კოტონი“ - ეს კარგია, მაგრამ აუცილებლად მიამოწმეთ ყურადღება მათი ქსოვის ხერხს. უმჯობესია, აირჩიოთ ეგრეთ წოდებული „სინგელჯერსი“. ესაა ორდინარული ტრიკოტაჟის თხელი ტილო. იგი შესანიშნავად ატარებს ჰაერს, არის მეტად პიკინური, გაძლევს სიბრტლის შეგრძნებას კანთან შეხების დროს.

პოლიესტერი ბამბის დამატებით ასევე სასებით მისაღები ვარიანტია, მაგრამ თუ მისგან შეკერილია ზაფხულის პერანგი ბრეტელეზე, და არა პიჟამა სახელოებით, - ქსოვილი იძენს ძლიერ ელექტროულობას, ასეთ ტანსაცმელში ძილი არცთუ დიდად მოსახერხებელია.

სხვათა შორის

როგორც უნდა იყოს პიჟამა, შერჩევის დროს ყურადღება მიამოწმეთ რეზინს. უკეთესია, თუ ჩართულია განიერი: იგი კარგად იჭერს შორტებსა და შარვალს, თანაც სხეულს არ აწვევს. თუ პიჟამა შესაკრავია - რაც ნაკლები ოდენობის ღილი იქნება, მით უფრო მოსახერხებელია ძილი.

ღამის ტანსაცმლის შერჩევის დროს არ უნდა დავივიწყოთ ძილის მანერა. თუ მშვიდად არ გძინავთ, ხშირად იცვლით გვერდს, უმჯობესია, გეძინოთ პიჟამაში.

კადრი



Advertisement for Sakartvelos Respublika magazine, including contact info, subscription rates, and a barcode.